საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყვიოებით და ჯიბრებით ბუტოის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 23 აგვისტო. 2018 წ. №167 (8568) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

 პოლიტიკური კეკლუცობა სიმართლის სარკეში

„ოო, მელანო, მელანო, ისევ ეწევი პაპიროსსა?!“

③

ხელოვნების რაინდს – ხალხის სიყვარული!

რეზო ამაშუკელი

მორჩა სპექტაკლი

რობიკო სტურუას



⑤

საბედისწერო გადაწყვეტილება სავალალო შედეგებით

⑥

④

ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა მეხუთე კოლონის მთავარი მიზანია...

◎ წერილი ბერლინიდან

გერმანიის კანცლერის კავკასიური ვიზიტი

რას წერენ გერმანული გაზეთები

23-დან 25 აგვისტომდე გერმანიის კანცლერი კავკასიის რესპუბლიკებს — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ესტუმრება. მოსკოვში მერკელის ვიზიტს ყურადღებით გაადევნებენ თვალყურს. საქართველოს ნატოში შესვლა არც ამჟამად გაინიხილება.

მერკელს დღესდღეობით საქართველოს გაწევრება არ სურს, თუმცა იგი სოლიდარობის ნიშნად აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ძეგლს გვირგვინით შეამკობს და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარსაც ეწვევა. 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე გერმანიის კანცლერი რუსეთის ხათრით საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრების პროცესის გახსნას შეეწინააღმდეგა, რამდენიმე თვეში დაიწყო აგვისტოს ომი სავალალო შედეგებით. საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებული რუსეთის მუქარებს მემარცხენე გაზეთი „ტაცი“ სერიოზულობით ეკიდება, გაწევრება ახლა მიუღებელია, წერს გაზეთი, ამასთან აგრესორ რუსეთს და ტრამპის ფუჭ უპასუხისმგებლო დაპირებების საგარეო პოლიტიკას ეყრდნობა. თბილისში ვიზიტისას მერკელი სხვა თემებთან ერთად შეეხება მომავალ არჩევნებს, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას, ქვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებს და ფედერალური კაბინეტით დამტკიცებულ, მაგრამ ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისგან ჯერ არმიღებულ სტატუსს: საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანას. უნდა ითქვას, რომ ფედერალური კაბინეტის მიერ მიღებული კანონპროექტი ამ სიაში შეყვანის არანაირ გარანტიებს არ იძლევა.

სანამ საქართველო კანცლერის თბილისის ვიზიტზე დიდ იმედებს ამყარებს, გერმანული მედიის ყურადღება მიმართულია აზერბაიჯანზე, რომელიც დღეს თავისთან არ უშვებს გერმანულ-სომხური ფორუმის პრეზიდენტს, მერკელის თანმხლებ ბუნდესტაგის დეპუტატს ალბერტ ვაილერს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან. ინტერესს კი გერმანიის აზერბაიჯანიდან შესაძლო გაზით მომარაგება იწვევს, გარკვეული გარანტიების არსებობის შემთხვევაში, ასე რომ, აზერბაიჯანზე კონცენტრირება სავსებით გასაგებია.

გერმანია საქართველოს მომავალში მეტ მხარდაჭერას ჰპირდება, თუ ქართველი ხალხი დემოკრატიული განვითარების გზას არ გადაუხვევს, მეორე მხრივ, გავიხსენოთ, რომ ოდესღაც სოციალური სამართლიანობისთვის დაუღალავი მებრძოლი გერჰარდ შრიოდერი გაგებით ეკიდება რუსეთის ქმედებას აგვისტოს ომში სამხრეთ ოსეთში, იგი ომის დროს გერმანიის ხელისუფლებას მოუწოდებდა, რუსეთის „დემონიზაცია“ არ მოეხდინათ, ფედერალურ მთავრობას უხმობდა, არსებული კონფლიქტის გამო ეჭვქვეშ არ დაეყენებინათ სტრატეგიული პარტნიორობის კონცეფცია და აპელირებდა გერმანია-რუსეთის საერთო ისტორიაზე.

ამ რამდენიმე დღის წინ მერკელი პუტინს შეხვდა. ეს მათი პირველი შეხვედრა იყო 4 წლის შემდეგ. ბერლინის მოსკოვთან კონფლიქტი არ შემოიფარგლება უკრაინის ომით, იქ სირიის ომიც არის, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება. მოსკოვი მონდომებულია, რომ ევროპამ, კერძოდ გერმანიამ, სირიის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღოს, მერკელმა კი იცის, რომ პუტინს გავლენა აქვს ასადზე, ის ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებით არის დაინტერესებული, და თუმცა, სანამ ასადი პრეზიდენტია, ეს არარეალიზებადია, ევროპელმა პოლიტოლოგებმა დაუშვეს იმის შესაძლებლობა, აღნიშნავს „ფრანკფურტერ ალგემაინე“, რომ მერკელი პუტინს ასადის ხელისუფლებიდან წასვლას მოსთხოვს. მას და რუსეთის პრეზიდენტს ერთმანეთი სჭირდებათ, ამასთან, ტრამპის აგრესიული საგარეო პოლიტიკაც გერმანია-რუსეთის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს.

მერკელს საბჭოთა პერიოდში თბილისში უმუშავია და სტალინის მუზეუმშიც ყოფილა,შემდგომში აქ ომის გამო ჩამოსულა. 23-ში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ პოლიტიკოსს კავკასიის რესპუბლიკებიდან საქართველო პირველი უმასპინძლებს.

გაზეთი „ჰანდელსბლატი“ აღნიშნავს, რომ საქართველოს დაკარგული ტერიტორიის უკან დასაბრუნებლად მფარველები სჭირდება და ჰყავს კიდეც, მაგრამ გერმანია ვერ იქნებაშუამავალი თბილისსა და მოსკოვს შორის, იმიტომ რომ, როგორც იტყვიან, გამშველებელს მეტი მოხვდებაო, და პირველ რიგში, თავისი ქვეყნის ინტერესები უნდა დაიცვას.

რუსუდან კანჯიანო (მანჯგალაძე)
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

ჩვენ ახალი სპეცკორესპონდენტი გვყავს გერმანიაში — რუსუდან კანჯიანო, დაამთავრა თსუ-ს დასავლეთევროპული ფაკულტეტი, შემდეგ — ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი. სპეციალობით ლინგვისტია.

მამუკა ბახტაძე უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვიქტორია ჰორვატს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრმა ელჩს საერთაშორისო დონეზე საქართველოს მხარდაჭერისათვის და EUMM-ს მისიაში მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებს და შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებს შეეხო. ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობას.

გარდა ამისა, მხარეებმა ისაუბრეს განათლების მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უნგრეთის უნივერსიტეტს შორის სხვადასხვა პროექტების, მათ შორის გაცვლითი პროგრამების მიმართულებით. აღინიშნა, რომ დაწყებულია მუშაობა საქართველოში უნგრული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით.

არჩილ ტატუნაშვილის მამის განცხადება

„მე კომპენსაციით დაინტერესებული არ ვარ. დაინტერესებული ვარ იმით, რომ ჩემი შვილის მწამებლები და მკვლელები, როცა იქნება, მოხვდნენ განსასჯელის სკამზე. ალბათ მოვა ეს დრო. ეს არის ჩემი ნატვრა. დღე და ღამე ამას ვფიქრობ, რომ ისინი ვიხილო განსასჯელის სკამზე“, — განაცხადა ტატუნაშვილმა.

ტატუნაშვილების ოჯახს რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგში სარჩელი შეაქვს. დოკუმენტი ევროსასამართლოში უკვე გადაიგზავნა. მისი მთავარი მტკიცებულება წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის მიერ მომზადებული დასკვნა იქნება.

რუსეთის უკანონო ქმედებებზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი იუსტიციის სამინისტროს ტატუნაშვილის საქმეზე სტრასბურგში, რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს ეხმაურება და აცხადებს, ქართულ მხარეს მოლოდინი აქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას.

— საქართველოს ხელისუფლებამ შეიტანა სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში და აუცილებელია რუსეთისთვის იმ უკანონო ქმედებებზე, რომელსაც სჩადის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დადგეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ქართულ მხარეს მოლოდინი აქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო ყველა პროცედურის დაცვით განიხილავს ამ სარჩელს და მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, — განაცხადა ზალკალიანმა.

როდის დაიჭერენ ცილისწამებისთვის ზვიად კუპრავას?

სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიბარეს. საქმე ეხება 4 მილიონი ლარის გაფლანგვას, რომელიც კუპრავას ინფორმაციით, სახელმწიფო უწყებებმა სარესტორნო მომსახურებისათვის დახარჯეს.

„სისხლის სამართლის საქმეში ოფიციალურ დევს ამის დამადასტურებელი მასალები, თუ როგორ მიირთმევენ 4 მილიონ ლარს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, როგორ აქვთ დახარჯული 4 მილიონი ლარი ექვს თვეში სხვადასხვა რესტორანში და აქ სიმბოლურია, როდესაც ჭამაზე მედავებიან მე და თვითონ სწორედ ჭამისთვის აქვთ დახარჯული 4 მილიონი ლარი. როგორც ჩანს, პროკურატურამ სუს-ში გადმოაგზავნა აღნიშნული საქმის მასალები, რომელიც უკვე საქმეში დევს, ფაქტობრივად. ეს არის მოცემულობა, რომელიც სასამართლო განხილვის საგანი უნდა გახდეს,“ — განაცხადა ზვიად კუპრავამ.

უეფა-მ გურამ კაშია დააჯილდოვა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანი გურამ კაშია უეფას გადაწყვეტილებით, Equal Game-ის ჯილდოს პირველი მფლობელი გახდა.

შეგახსენებთ, გასულ სეზონში, ჰოლანდიის კლუბ „ვიტესში“ თამაშისას, გურამ კაშიამ საჯაროდ მხარი დაუჭირა თანასწორობის იდეას და დაგმო აგრესია. კაშიამ, ისევე როგორც ჰოლანდიის ყველა სხვა კლუბის კაპიტანმა, ცისარტყელის ფერებში შემოსილი სამკლაური გაიკეთა, რითაც ლგბტ ადამიანების მიმართ მხარდაჭერა გამოხატა. კაშიას ამ ქმედებას ქართველი საზოგადოების უმრავლესობაში დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, ხოლო მცირე ნაწილში — გაღიზიანება.

ცნობისთვის, ჯილდო, რომელიც გურამ კაშიამ მიიღო, იმ მოთამაშეს გადაეცემა, რომელიც სამაგალითოდ მოიქცა ევროპულ ფეხბურთში ინკლუზიურობის, მრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის პოპულარიზაციის კუთხით.

რთველი, ნასეტყვარ ვენახებში... დაიწყო

ახმეტაში რთველი კახეთისთვის დამახასიათებელი ჩვეული მოლხენის გარეშე მიმდინარეობს, რადგან ეს რთველი დაუგეგმავია, რაც სეტყვამ გამოიწვია. „რთველიც“ პირობითად ითქმის, რადგან ყურძნის მხოლოდ მიზერული ნაწილია გადარჩენილი. მთავრობა დაზარალებულებს ფინანსურად არ დაეხმარება.

დაზიანებულ მოსავალს ერთადერთი კომპანია, სააქციო საზოგადოება „ახმეტის ღვინის ქარხანა“ იბარებს. კომპანია ერთ კილოგრამ ყურძენში 50 თეთრს იხდის. ქარხანას სულ 8 ათასი ტონა მოსავლის მიღების შესაძლებლობა აქვს, მიღებული პროდუქციით კი ადგილობრივი გასაღებისთვის სპირტს დაამზადებს. ღვინის ქარხნის წარმომადგენელი მამუკა სამსონაძე ამბობს, რომ კომპანია ყურძენს მხოლოდ იმ მევენახეებისგან იბარებს, რომლებსაც მოსავალი არ ჰქონდათ დაზღვეული.

მართალია, ქარხანა დაზიანებულ ყურძენს იბარებს, მაგრამ თავად დაზარალებულთა ნაწილი ამბობს, რომ ეს მათთვის დიდი შეღავათი არ არის, რადგან ყურძნის მხოლოდ მიზერული რაოდენობაა დარჩენილი. გიორგი პავლიაშვილი წელს 40 ტონამდე მოსავალს ელოდებოდა, მაგრამ სეტყვის შემდეგ დღეს მხოლოდ ერთი ტონა მოკრიფა. პავლიაშვილი ამბობს, რომ სტიქიამ ისინი მინიმუმ სამი წლით მაინც დააზარალა, რადგან დაზიანებული ვაზი უნაყოფო იქნება მომდევნო ორი წლის განმავლობაშიც.

ახმეტაში სეტყვის შედეგად დაზარალებულმა მოსახლეობამ საპროტესტო აქციაც გამართა და სახელმწიფოსგან დახმარება მოითხოვა, თუმცა ამ აქციის შემდეგ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა თქვა, რომ მთავრობა გლეხებს თანხით ვერ დაეხმარება. მან მოსახლეობას მოუწოდა, რომ აგროდაზღვევის პროგრამით ისარგებლონ, რათა მსგავს მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდნენ: **„სახელმწიფო ხელს უწყობს აგროდაზღვევის დარგის ამოქმედებას და, შესაბამისად, წინასწარ უნდა დააზღვიოს გლეხმა მოსავალი, რომ შემცირდეს რისკები და შემდგომში არ ვიყოთ დამოკიდებული იმაზე, იქნება თუ არა დახმარება კონკრეტულ შემთხვევაში. ხშირ შემთხვევაში ეს დახმარება ვერ იქნება, რადგან სახელმწიფო რესურსები მნიშვნელოვანწილად არის შეზღუდული“.**

მინისტრის ამ განცხადებას კახელმა გლეხებმა უპასუხეს და თქვეს, რომ მოსავალს ვერ აზღვევენ, რადგან მიწის ნაკვეთები არა აქვთ გაფორმებული. ახმეტაში სტიქიას მხოლოდ მოსავალი არ გაუნადგურებია. რამდენიმე საცხოვრებელ სახლს სახურავი აქვს გადახდილი, ნაწილი კი დაზიანებულია. სეტყვამ, ქარმა და წვიმამ ახმეტის გარდა პრობლემები შექმნა თელავშიც. სტიქიამ მოსავალთან ერთად ინფრასტრუქტურაც გაანადგურა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რამდენია ზარალი კახეთის ამ ორ მუნიციპალიტეტში. წინასწარი ინფორმაციით, 500 ჰექტარზე მეტია დასეტყვილი ვენახებისა და ერთწლიანი კულტურების საერთო ფართობი. იქ სადაც ვენახები არ დასეტყვილა, რთველი აგვისტოს ბოლოდან დაიწყება.

* * *

20 აგვსტოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად გახსნა. ამ დროისთვის შტაბში 15 კომპანია, რომლებიც ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩაერთვებიან, უკვე დარეგისტრირებულია. რთველის მიმდინარეობის დროს შტაბი 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს.

ყურძნის კრეფა რამდენიმე დღეში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაიწყება და, ეტაპობრივად, მთელ კახეთს მოიცავს. იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკით ქართულ მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებობს, რთველი 2018 ჩატარდება ორგანიზებულად და იქნება წარმატებული.

დარგში წინსვლა სახეზეა — გაზრდილია ღვინის ექსპორტის მოცულობა, საექსპორტო ბაზრები დივერსიფიცირებულია, შექმნილია ახალი, გაფართოებული და გადაიარაღებულია ღვინის ძველი საწარმოები; ფუნქციონირებს აგროკრედიტის და აგროდაზღვევის განვითარებული სისტემა. სახელმწიფოს ხელშეწყობით მევენახეობა-მეღვინეობის დარგი გაძლიერებულია და ის, ერთმნიშვნელოვნად, აღარ საჭიროებს სუბსიდიის ფორმით მხარდაჭერას“, — აღნიშნავენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

გიორგი ალადაშვილი

„ოოო, მელანო, მელანო, ისევ ეწევი პაპიროსსა?!“

ოცამდე „საყვედური მივიღე“ იმის თაობაზე, რომ მხოლოდ კომენტარად დავტოვე და არ გამოვაქვეყნე დამოუკიდებელ პოსტად ის პაწია „დიალოგი“ ბატონ გიორგი ნიშნიანიძესთან, ჩემს ფეისბუქელ მეგობართან, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

აი, ამ „გასაუბრების“ ტექსტიც:

გიორგი ნიშნიანიძე:

სალომე ზურაბიშვილის მინისტრობისას 2006 წელს რუსებმა სამხედროები და ტექნიკა გაიყვანეს საქართველოდან. პროვოკატორ ნიკა გვარამიას დაუხშეთ „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო ღრუ.ომი დაიწყო ფოსტალიონმა (ნოდარ დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“)

ნუგზარ ფოფხაძე:

გიორგი ბატონო, თუ არ მიწყენთ, გულწრფელად გეტყვით, რბილად რომ ვთქვათ, არ არის კორექტული (და დაზუსტებას მოითხოვს) ეგ შეხედულება და შეფასება, რაც ქვეტექსტით ეთანხმება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, რომ მისი პირადი ძალისხმევით მოხდა რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან.

ამას მხოლოდ თქვენ არ ცოდავთ. ფეისბუქი სავსეა ქალბატონ სალომეს მომხრეთა აღტაცებული ყიჟინით ამ თემასთან დაკავშირებით.

... იმ დროს, როცა რუსეთის ჯარების გაყვანის პრინციპული გადაწყვეტილება(!!!) მიიღეს სტამბულის სამიტზე (1999 წ. 18 ნოემბერი), ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, არცთუ გადამწყვეტ(!) თანამდებობაზე. არამცთუ მას, იმ დიდი ქვეყნის პრეზიდენტს, მთავრობას და საგარეო საქმეთა სამინისტროსაც კი არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რაიმე, სულ პაწია შეხებაც კი ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ცხოვრებისთვის ამ გადამწყვეტ და ისტორიულ მოვლენასთან.

ასე რომ, ნუ დაიბრალებს ქალბატონი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომ მან აიძულა(!!!) პრეზიდენტები კლინტონი, ელცინი, დემირელი და შევარდნაძე, ხელი მოეწერათ ამ გადაწყვეტილებაზე.

ასევე, მას, ფრანგ მოქალაქეს (ვიმეორებ: იქაური საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ჩვეულებრივ თანამშრომელს) და ამ ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავრობას არ (!!!) დაუდგენია(!!!), რომ გაყვანის პროცესი დასრულდებოდა 2006 წლის 1 იანვრამდე...

რეალურად ეს „გაყვანა“ მოხდა მხოლოდ ნაწილობრივ(!!!), რამეთუ გუდაუთის და ეშერის ბაზები ხელუხლებელი დარჩა. ქართული დიპლომატიის ამ „ჩავარდნაში“ (რუსეთის მხრიდან სტამბულის სამიტის გადაწყვეტილების „ფეხებზე დაკიდება“), არცთუ მცირე დამსახურება მიუძღვის მის ყოფილ კოლეგას ბატონ ლავროვს, რომელმაც „სუფთად“ მოუგო თავის მოწინააღმდეგეს, „ბრწყინვალე“(!!!) დიპლომატს.

აი, ამ „მარცხის“ გახსენება კი უჭირს ქალბატონ კანდიდატს, არადა, უპრიანი კი არის „დაიბრალოს“ და აიღოს საკუთარ თავზე მორალური პასუხისმგებლობა ქალბატონმა „ძალისმხმეველმა“ – ქართული დიპლომატიის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, რომელიც დღემდე აღტაცებულია თავისი „კერპით“ თუ „იდეალით“ – ოკუპანტი ქვეყნის „ბრწყინვალე დიპლომატის“ პროფესიონალიზმით.

ეს მიდგომა, ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა, რიტორიკულია. ნეტავი, მართლა ისე იყოს მოწყობილი ეს ქვეყანა და მსოფლიო, რომ ერთ პიროვნებას, რაგინდ უმაღლეს თანამდებობასაც არ უნდა იკავებდეს ის, შეეძლოს მსგავსი საბედისწერო გადაწყვეტილებების მიღება. ასეთი ერთპიროვნული „გმირობის“ გამონაკლისი, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩვენში, ისიც ან პრეზიდენტი ან ამ პოსტის მაძიებელი ერთი რომელიმე კანდიდატი შეიძლება აღმოჩნდეს.

დღესავით ნათელია, რომ მაშინ, ვინც არ უნდა ყოფილიყო საგარეო საქმეთა მინისტრი (ვინმე სიკინჭილაშვილი თუ ვინმე ზურაბიშვილი), მას თანამდებობრივად მოუწევდა ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო ფორმალური სამუშაოების ჩატარება (ანუ, კოლექტიურ „ლავროვთან“ სატელეფონო თუ წერილობითი კომუნიკაცია და... მისდამი, როგორც „ბრწყინვალე დიპლომატი-სადმი“ სიმპათიებით განწყობა).

ასე რომ, როცა ნებისმიერი ჩინოსანი, მათ შორის, პრეზიდენტობის ქალბატონი კანდიდატი, წარბის შეუტოკებლად, საკუთარი (და არა მხარდამჭერთა) პირით აცხადებს, რომ მისი პირადი, პიროვნული ურთიერთობებით, რაღაც ზებუნებრივი მონაცემების გამოყენებით თუ ძალისხმევით მოხდა ჟანდარმი და ოკუპანტი სახელმწიფოს კბილებამდე შეიარაღებული კონტიგენტის და სათანადო ტექნოლოგიურად აღჭურვილი ბაზების გაყვანა-დახურვა, არის, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარი ე.წ. დამსახურების გაზვიადების მცდელობა, ხოლო ხისტად – ელემენტარული ცრუპენტელობა და მოსახლეობის (ამომრჩევლების) უტიფრად დაბოლება.

ვიმეორებ: ნებისმიერი ადამიანი, ვინც იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე იქნებოდა, უნდოდა თუ არა, მოსწონდა თუ არა, აუცილებლად გახდებოდა მონაწილე ამ პროცესის. ისე, თუ „თამაში“და ბაქიბუქობა გვინდა, მაშინ ქალბატონ სალომეს ლოგიკით უფრო უპრიანი იქნებოდა ეს „დამსახურება“ პრეზიდენტ საკაშვილისთვის მიგვეწერა. და ეს ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვლებოდა და არც არავის გაუკვირდებოდა ისევე, როგორც ნატოს კარზე მიკაკუნების, ავტობანის მშენებლობის მსოფლიო ბანკთან პრინციპული გადაწყვეტილების ავტორის – ედუარდ შევარდნაძისთვის, ბათუმის უმნიშვნელოვანესი „გვირაბის – ასლან აბაშიძისთვის და არაერთი კაი საქმის ავტორობის სხვებისთვის „ჩამორთმევა“ და საკუთარ დამსახურებათა ყულაბაში „ჩაჩხრიალება“. აღარფერს ვამბობ, ქართული სახელმწიფოს შექმნაზე და... რისი დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, გიორგი ბრწყინვალე, პატარა კახი...

დასკვნა: დროა, ყველა მორჩეს პოლიტიკურ კეკლუცობას და ელემენტარულ ცრუპენტელობას და, რა თქმა უნდა, ეროვნული გმირის მანტიის მოსხმას...

P. S. „ტაბულა“ – ტელეეკრანზე „მძიმე კატთან“ საუბრისას (26 ივნისი, 2014 წ.) ქალბატონმა „პრეზიდენტობის კანდიდატმა“ წამყვანის შეკითხვის პასუხად გვამცნო, რომ... თურმე, ერთხელ(!) მოუწევია მარიხუანა და არ მოწონებია. ასევე, ერთხელ(!) დაუყნოსავს კოკაინიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც არ მოსწონებია.

ფაქტების (მაგალითად, რუსის ჯარის გაყვანასთან დაკავშირებული) სიზუსტესთან ქალბატონი „პრეზიდენტობის კანდიდატის“ მეტისმეტად ფაქიზი დამოკიდებულება რომ ვიცი, ნურავინ დამძრახავს იმის გამო, რომ პაწია ეჭვი შევიტანო მის გულწრფელობაში...

ჰოდა, დავწერე თუ არა ეს სტრიქონები და უცებ გონებაში ამოტივტივდა მსახიობ ვ.ნინუას პირით გაჟღერებული „სასიძო კნიაზის“ ერთი რეპლიკა კინოფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“: „ოოო, მელანო, მელანო, ისევ ეწევი პაპიროსსა?!“



ამ რეპლიკის შემდეგ მე ისღა დამრჩენია, კვლავ შევძახო: ტაში, კუკური!!!!!

ნუგზარ ფოფხაძე

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა სტამბულის სამიტზე (18 ნოემბერი, 1999 წელი), რომელზედაც გადაწყდა საქართველოდან რუსეთის სამშვიდობო სამხედრო ბაზებისა და კონტიგენტის გაყვანა.

პარტიას დისკუსიები აძლიერებს!

რაც ეხება იმ დისკუსიებს, რაც „ქართულ ოცნებაშია“, ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ დემოკრატიულ პარტიაში უნდა არსებობდეს ასეთი დისკუსიები. მე ამას მივესალმები. არანაირი პრობლემა არ მაქვს. არც მეჩქარება, – ამის შესახებ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატთან დაკავშირებულ განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა. მისი თქმით, მას მმართველი გუნდის მხარდაჭერის იმედი აქვს.

„ჩემი მოლოდინი არ იცვლება ასე სწრაფად. იმედი მაქვს, რომ იქნება მათი მხარდაჭერა, მაგრამ ჩემი კანდიდატურა უკვე დაყენებულია, ვაგროვებთ ხელმოწერებს, რომელსაც 8 სექტემბრამდე შევიტან ცესკოში და ვიქნები საპრეზიდენტო კანდიდატი. რაც ეხება იმ დისკუსიებს, რაც „ქართულ ოცნებაშია“, ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ამას.

მე მგონი, არაფერი შეცვლილა. ვიცით, რომ მუდამ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სურდათ შიდა კანდიდატურა და მუდამ იყო ასეთი დისკუსიები. ბუნებრივია პარტიისთვის, რომ ნებისმიერ არჩევნებში სურდეს თავისი კანდიდატურა. სხვა საქმეა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც მიღებული იქნება. მე აქ ვერაფერს ვხედავ ისეთს, რაც შემაშფოთებელია“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ცნობისთვის, მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გუნდში დისკუსია მიმდინარეობს.

უსუფაშვილის რჩევა მარგველაშვილსა და ივანიშვილს

მარგველაშვილმა და ივანიშვილმა ხუთწლიანი „ცივი ომის“ უკანასკნელ დღეებში მაინც უნდა შეძლონ ერთობლივი სახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მაღალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ლეგიტიმაციის მქონე პროფესიონალის არჩევა, – აცხადებს „შენების მოძრაობის“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი დავით უსუფაშვილი.

„ამ მიმართულებით პრეზიდენტის ცალმხრივი მცდელობა არაფრის მომტანია. აუცილებელია მმართველი პარტიის მონდომებაც, რასაც მხოლოდ მისი თავმჯდომარის მონდომება განაპირობებს. ამიტომ, თუ საჭიროა, მარგველაშვილმა უნდა გაიხსენოს ივანიშვილის ტელეფონის ნომერი და, თუ საჭიროა, ივანიშვილმა უნდა შეწყვიტოს დასვენება პროცესის ხელშესაწყობად.

რა ჩემი საქმეა, რა უნდა ქნან მარგველაშვილმა და ივანიშვილმა? ეს ყველას საქმეა და ჩემი საქმეცაა! მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღების გზაზე დაყენების შანსის გამოსაყენებლად უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილი პირებისგან, დიახაც, მოვითხოვთ უმაღლეს პასუხისმგებლობას, ნებისყოფას და გამჭრიახობას“.

ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა მეხუთე კოლონის მთავარი მიზანია...



თავის მხრივ, ნეოლიბერასტული იდეოლოგია რამდენიმე ზოგადსაკაცობრიო, ფუნდამენტური ღირებულებების უარყოფას ეფუძნება, ფასეულობებს, რომლებზეც აღმოცენდა კულტურული კაცობრიობა!

შიო კობიძე — აფხაზეთის ომის ნამდვილი ვეტერანი (ნამდვილი, რადგან, სამწუხაროდ, „ლიპა“ ვეტერანებიც არსებობენ), რომელსაც გენიალური ქართული ფილმის („არაჩვეულებრივი გამოფენა“) მთავარ გმირ აგული ერისთავის მსგავსად, ყუმბარა თავში მოხვდა. თუმცა აგულისა და შიოს მსგავსება, სამწუხაროდ, აქ მთავრდება — თუ აგულის ყუმბარა თავში მოხვდა, მაგრამ „კიდევ კარგი არ აფეთქდა“, შიო კობიძეს პიპინია ერისთავის ვაჟივით არ გაუმართლა — ყუმბარა თავშიც მოხვდა, აფეთქდა კიდეც და მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილკაცს, სამედიცინო ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, თავის ტრეპანაცია დასჭირდა, ხოლო უფრო გასაგებ ენაზე, ახალგაზრდა კაცი დაინვალიდდა!

(იმედია, ამ ხუმრობის თანხლებით ნათქვამ სიმართლეს არ მიწყენს ჩემი მეგობარი)

მიუხედავად აფხაზეთის ფრონტზე მძიმედ დაჭრისა, ახლა უკვე მოწიფული ვაჟკაცი შიო კობიძე აქტიურად ჩაება სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან ბრძოლაში მაშინდელი ე.წ. „წინააღმდეგობის მოძრაობის“ რიგებში, სადაც გავიცანით კიდეც ერთმანეთი და ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ წილად თანამებრძოლებიც ვართ...

2013 წლის 28 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, სამოქალაქო (?!) ფორმიან პოლიციელებთან ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე შიო კობიძეს აკავებენ, პოლიციის სამმართველოში გადაჰყავთ და ხელბორკილდადებულს 9 საათის მანძილზე სცემდნენ, ანუ აწამებდნენ და უფრო მეტიც — შეიტყვეს რა შიო კობიძის ვეტერანობა-დაჭრის შესახებ, შენი დედაც, აქ რას მოეთრეოდი, რატომ სოხუმში არ ჩაძაღლდიო და, სწორედ იმ ტრეპანირებულ (თუ ასე თქმა შეიძლება) თავში ურტყამდნენ გამეტებით!..

ამ ინციდენტს დიდი ხმაური მოჰყვა ვეტერანთა კავშირის საპროტესტო აქციების, მედიის ჩართულობის სახით და უფრო მეტიც — **თვით მათმა უდიდებულეს-ულიბერალისობა** „საიას“ (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) მაშინდელმა თავმჯდომარემ და დღეს პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემაც კი მოითხოვა საქმის დროული და ობიექტური გამოძიება — **მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს საქმე დღემდე „თაროზე დევს“ და დამნაშავენი არ დასჯილან...**

მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარო და შიო კობიძის თავგადასავლები ამით არ ამოწურულა და აი, მივადექით მთავარ სათქმელს...

ამას წინათ შიო კობიძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიესაჯა და მომავალში ოთხწლიანი „სროკი“ ემუქრება იცით, რისთვის?

შიო კობიძემ საკუთარ მცირეწლოვან დისშვილს (მკითხველებო მოემზადეთ, ემანდ სკამიდან არ გადავარდეთ, ან გაზეთი არ გაგივარდეთ ხელიდან), **რომელიც შიოს მიერვე გაზრდილ-აღზრდილია, მამაშვილურად ყური აუწია!..**

მსგავსი „მამაშვილობა“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ახალი მუხლის შესაბამისად დასჯადია. მუხლის, რომელიც დასავლეთის რეკომენდაციით (წაიკითხე, ბრძანებით) შეიტანეს გალიბერასტებულ სისხლის სამართლის კოდექსში...

მსგავსი „დანაშაულისთვის“ თურმე მრავალი ცოლქმარი, და-ძმა, მამა-შვილი და ა.შ. ერთმანეთის სისხლხორცი ნათესავები იხდიან სასჯელს და უფრო მეტიც:

ვთქვათ და ოჯახის რომელიმე წევრს, მაგალითად, ცოლს, გაუარა უგუნურმა სიფიცხემ, აფექტის ჟამს პატრულის გამოძახება ინანა, ქმარს აღარ ვუჩივიო, განაცხადა — ნურას უკაცრავადო, საქმე აღძრულია, „დამნაშავე“ უნდა დაისაჯოსო, მიიღებს პასუხად და საკუთარი შვილების მამასთან „პერედაჩების“ ზიდვა მოუწევს ლიბერასტული პროპაგანდით გამოთაყვანებულ ცოლს.

მსგავს საქმეებზე პროკურატურაში თხოვნით მისულ მავანთა გულშემატკივრებს, არიქა, ეგება რაიმე უშველოთ ამ იგავმიუწვდომელი სიშტერის მსხვერპლსო?.. პროკურორები, ერთი მხრივ, გიდასტურებენ ლიბერასტული მოცემულობის აბსურდულობას, მაგრამ იქვე უილაჯოდ ხელებს ასავსავებენ, ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან მსგავსი საქმეები ევროკავშირის (?) მკაცრი მონიტორინგის ქვეშ არისო!

რატომ, რისთვის და ვისგან ასეთი აბსურდის თეატრი? ბუნებრივად ჩნდება ეს და მისი მსგავსი კითხვები, რომლებზე პასუხების გაცემა ურთულესია, რადგანაც ყოველივე აქამდე თქმული მსოფლიო გლობალური პროცესების ნაყოფი, გნებავთ ლიბერასტული აისბერგის ხილული ნაწილია.

რაც შეეხება აისბერგის უხილავ წყალქვეშა ნაწილს, გნებავთ, ფესვებს იმ უბედურებებისა, რომლებიც 21-ე საუკუნის დასაწყისში საბედისწეროდ თავს დაატყდა კულტუროსან კაცობრიობას, არაერთხელ აღგვინიშნავს და ახლაც გავიმეორებთ — თავი და თავი იმ უბედურებისა, რომელიც შეიძლება კულტურული მსოფლიო ცივილიზაციის მესაფლავე გახდეს, აგრესიულ ნეოლიბერალურ იედოლოგიაშია საძებნი! იდეოლოგიაში, რომლის მიხედვითაც ლამის მთელი მსოფლიო იმართება.

თავის მხრივ, ნეოლიბერასტული იდეოლოგია რამდენიმე ზოგადსაკაცობრიო, ფუნდამენტური ღირებულებების უარყოფას ეფუძნება, ფასეულობებს, რომლებზეც აღმოცენდა კულტურული კაცობრიობა!

არა — ეროვნებას, არა — სამშობლოს, არა — ღმერთს, არა — სქესს, არა — ოჯახის ინსტიტუტს!

აი, ის ძირითადი რამდენიმე „არა, რომლებიც თანამედროვე აგრესიული ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიის ქვაკუთხედია. ყველა მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ამიტომ დღეს მხოლოდ წინამდებარე წერილის მთავარ თემაზე — ოჯახის ინსტიტუტზე ვცადოთ მსჯელობა...

ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა, როგორც იტყვიან, არახალია, ძველია — ეს პროცესი გასული საუკუნის 20-იან წლებში წამოიწყო ბოლშევიკების სიონისტურმა ფრთამ ვლადიმერ ლენინისა და, განსაკუთრებით, ლევ ტროცკის მეთაურობით და არც თუ წარუმატებლად — რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ტერიტორიაზე დაანგრიეს ათასობით ეკლესია-მონასტერი, დახვრიტეს მრავალი ათასი მღვდელ-მონაზონი. რაც შეეხება ოჯახის ინსტიტუტთან ბრძოლას, ეს პროცესი ცნობილი ბოლშევიკ-პროსტიტუტკა, ასევე სიონისტი (???) ალექსანდრა კოლონტაის თეორიის მიხედვით მიმდინარეობდა, თეორიისა, რომლის უმოკლესი შინაარსი ასეთი იქნება: რა საჭიროა ცოლი და ქმარი, სიყვარული, ცოლქმრული ერთგულება, ქორწინების ოფიციალურად რეგისტრაცია და ა.შ. მთავარია, რომ პროლეტარებმა პროლეტარები შვან. მაშინვე გაჩნდა ტერმინები: ჩაგრული ქალები, ემანსიპაცია და ა.შ. ნაცნობი სურათია, არა?

საბედნიეროდ, კოლონტაი-ტროცკის გარყვნილებას იოსებ სტალინმა მოუღო ბოლო; სტალინის დროიდან მოყოლებული სსრკ იმპერიაში გაძლიერდა ოჯახის ინსტიტუტი შესაბამისი ლოზუნგით — „თითოეული ოჯახი პატარა უჯრედია, რომელიც დიდი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია“...

ზემოთ, ნაცნობი სურათია-მეთქი, ვთქვი და მართლაც საუკუნის წინანდელ მორალურ-ზნეობრივ პრობლემებს, აშკარად თითიდან გამოწოვილი პრობლემა დაემატა, რომელსაც ე.წ. ოჯახური ძალადობა ჰქვია. თითქოს ქართველი მამაკაცები მხოლოდ იმიტომ ქორწინდებიან, რომ ცოლებს ცემა-ტყეპაში ამოხადონ სული, ხოლო მშობლებმა შვილებს ყურები დაახიონ!?

სინამდვილეში კი რა ხდება? დასავლელი ნეოლიბერასტები ზემოთ ხსენებულ რამდენიმე „არაში“ განსაკუთრებით ოჯახის ინსტიტუტს ებრძვიან და ამ ბრძოლის საბოლოო მიზანია, რომ ოჯახში არ არსებობდეს უფროს-უმცროსი, ოჯახის თავი, დიასახლისი. დიასახლისობა, რომელიც კომუნისტობის პერიოდშიც კი საპატიო პროფესიად ითვლებოდა!

ახლა? ე.წ. ადამიანის უფლებების კომუფლაჟით, ყველაფრის უფლება აძვს ბავშვს და არაფრის — მშობელს! ასე გასინჯეთ, ნარკოტიკის მიღება რომ აუკრძალოს მამამ შვილს, ამ უკანასკნელმა პატრულში ერთი ზარის გაშვებით, შეიძლება შიო კობიძესავით შესაფერისი ადგილი მიუჩინოს საკუთარ მამას!

რა, ასეთი რამ დღეს შეუძლებელი გვგონია? კი ბატონო, ასეა, მაგრამ ასევე იყო შარშანაც — ვერავინ იფიქრებდა, რომ რუსთაველის გამზირი სამი დღე ოკუპირებული ექნებოდათ ნარკომან-ბარიგებს, რომლებმაც საწადელს მიაღწიეს, მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების მიმართ, რამდენიც გინდა ქაჩე მარიხუანა, ჯიბეებიც „პლანით“ გქონდეს გამოტენილი, საკუთარ ბინაში ასემც გიქნია მარიხუანის პლანტაცია გაგიშენებია, კაციშვილი ხმას ვერ გაგცემს!

იმავე შედეგს მივიღებთ ე.წ. მძიმე ნარკოტიკების მიმართაც, რადგანაც ეს „ჯერჯერობით“ დიდხანს ვერ გაგრძელდება და მძიმე ნარკოტიკების მოხმარება, შეძენა-შენახვის ლეგალიზაცია მხოლოდ დროის ამბავია!

და ვინ დგას ამ ყველაფრის უკან? ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე ევროპა-ამერიკა. იქიდან და აქედან იგივე ევროპა-ამერიკის მიერ უხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო მესამე სექტორი სახალხო დამცველის მეთაურობით!

ყველა თავმოყვარე ქვეყანამ, რომ იტყვიან, „აახვევინა“ ჯორჯ სოროსის „ასოებს“ საკუთარი ქვეყნებიდან, ან თუ არ „აახვევინა“, პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალათ. „ასო“ების მფარველი აშშ-ის ელჩი ბელარუსში „ბატკა“ ლუკაშენკომ საკუთარი კაბინეტიდან გააპანღურა და ჩვენ, საქართველო რას ვაპარპაშებთ ამ არამზადებს?!

რა გვემართება, ხალხნო, სად გაგონილა, რომელ ქვეყანაში, რომ „ასოები“ მავანი მინისტრის მოხსნა-დანიშვნას ითხოვდნენ?

მესამე სექტორი, სამწუხაროდ, კლასიკური ტიპის მეხუთე კოლონაა საქართველოში, ხოლო სახალხო დამცველი მე-5 კოლონის რეზიდენტია.

თუ ხატოვნად ვიტყვით, საქართველოს ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“ კი არა, არაფორმალურად კაპიტანი ეკა გიგაურები და ეფრემიტორი ნინო ლომჯარიები მართავენ და აქედან გამომდინარე, ყველა ჯანსაღი პოლიტიკური ძალის, მთელი ჩვენი ინტელიგენციის უპირველესი ამოცანა, გამოსოროსირებული „ასოების“ პარპაშის ალაგმვა უნდა იყოს!

და, საერთოდაც, ჩემი აზრით, საქართველოს სახალხო დამცველი საყოველთაო, პირდაპირი კენჭისყრით უნდა ირჩეოდეს და არა ჩვენი ლიბერასტული მანქურთებისა და აშშ-ის საელჩოს მიერ ინიშნებოდეს!

ასეთ შემთხვევაში 8 შვილის მამას დიმიტრი ლორთქიფანიძეს 70-ათასიან მხარდამჭერთა სიას თავზე ვერ გადაახევდნენ და სახალხო დამცველად ნინო ლომჯარიას ვერ წამოგვისკუპებდნენ...

ფართოდ გაახილეთ თვალები, ქართველებო!

დავით მხეიძე

რეზო ამაშუკელი

მორჩა სპექტაკლი

რობიკო სტურუას

მორჩა სპექტაკლი,
შეერია ფრანგულ სუნამოს
ჭორის სურნელი
შურიანი აღფრთოვანებით...
– და ისრუტავენ
ისრუტავენ იარუსები
თვითკმაყოფილ და შეშინებულ
გრიყვულ სახეებს...
როგორც ამბობდა გენიოსი,
უფსკრულთან მდგარი: –
– „სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული!“
სადღაც წავიდა,
გაქრა ძველი მაყურებელი...

...ჩაქრება ჭაღი,
მოედება სიგრილე პარტერს,
იწყებენ თვლემას სავარძლები,
იძინებს ფარდა...
და
ჭაღი მრავალ სასწაულის
გრდღვიალა მოწმე
აიხორხლება
გაჭვარტლული სველი ძონძებით –
– შავი, ბებერი ღამურებით,
მოწრიპინე შავი მტევნებით,
წითელი ღინღლით აცქვეტილი
მომცრო ყურებით,
ასი წელი რომ აქ ცხოვრობენ
თეატრის სხვენში,
ღამურები,
ღამურები,
ამ თეატრის მკვიდრი მსტოვრები!..

ახსოვთ ღალატი,
დასმენები, ყურში ჩურჩული,
ქირქილი, მარად უნიჭობის
შური და ღვარძლი.
ახსოვთ ხანძარი
მოგუგუნე თეატრი ცეცხლში,
ახსოვთ თბილისი,
ცრემლიანი ჭირისუფალი...
„ბევრი რამ ახსოვთ
ამ შავოსან ინკვიზიტორებს!..“



დღეს ამ თეატრში
მათთან ერთად ცხოვრობს მკითხავი,
მეზღაპრე,
მოგვი,
ჯადოქარი,
სულის მძერწავი!..

გადაირბინა გამთენიას
სცენაზე ვირთხამ,
და აშრიალდა, აფართხალდა
გუნდი მთვლემარი. –
– გაშალეს თავის მოლაპლაპე მოსასხამები
და სათათბიროდ მიაშურეს
თავის საბუდარს.

დღეს ამ თეატრში
მათთან ერთად ცხოვრობს მაესტრო,
უკვე ბებერი ქარიშხალი,
სულის მძერწავი!
ცხოვრობს და ელის
ღამურების ბოლო განაჩენს!

გარეშემო კი
კვლავ ღაღანებს შხამის მარცვლებით,
სოროსის თესლით
მორწყული და ნაპატივები,
უსამშობლოო ტროცკისტების
ბინძური ყანა!

...მორჩა სპექტაკლი,
შეერია ფრანგულ სუნამოს
ჭორის სურნელი
შურიანი აღფრთოვანებით...
და ისრუტავენ,
ისრუტავენ იარუსები
თვითკმაყოფილ და შეშინებულ
გრიყვულ სახეებს...
– სადღაც წავიდა,
გაქრა ძველი მაყურებელი...
– „სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული!“

2018 წ. 18 აგვისტო



მეტროში მოცდის პერიოდი 3 წუთამდე შემცირდება

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, 15 სექტემბრიდან თბილისის მეტროპოლიტენში მოცდის პერიოდი საშუალოდ 3 წუთამდე შემცირდება. ამის შესახებ მან თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, მიმდინარეობს მუშაობა, რომ მომავალში მოცდის პერიოდი 2 წუთამდე შემცირდეს. ამასთან, დედაქალაქის მერის თქმით, 15 სექტემბრიდან თბილისის მეტროპოლიტენს მემანქანეების ახალი ნაკადი დაემატება, რომლებიც უკვე გადამზადდნენ.

„მოგეხსენებათ, მეტროს ყველაზე მეტი მგზავრი გადაჰყავს. 15 სექტემბრიდან მგზავრთა ნაკადები კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ხალხი უკვე შვებულებებიდან დედაქალაქში დაბრუნდება. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. მიმდინარე წელს, მეტროს ოთხი ახალი შემადგენლობა დავამატეთ. ასევე, განვახორციელეთ სარკინიზგო ხაზების ცალკეული მონაკვეთების რეაბილიტაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. კერძოდ, ისეთი მონაკვეთების, რომელიც სიჩქარის შეზღუდვებს განაპირობებდა. გადამზადების შედეგად, მემანქანეების ახალი ნაკადი მივიღეთ, რომლებიც თბილისის მეტროს დაემატებიან“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კახეთის გზატკეცილი ერთ წელიწადში სრულად მოწესრიგდება

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, მომავალი წლიდან უკვე კახეთის გზატკეცილის ძირითადი საავტომობილო სავალი ზოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება, მოწესრიგდება გზაგამყოფი ზოლი, განათების ბოძები შეიცვლება და ახალი, თანამედროვე, ევროპული ტიპის განათებები დამონტაჟდება.

„მნიშვნელოვანია, რომ სადაც ვიწყებთ სამუშაოებს, სრულად მოწესრიგდეს ყველაფერი და უკვე დასრულებულზე აღარ მოგვიწიოს ხელახლა გადათხრა. შესაბამისად, 9-კილომეტრიანი მონაკვეთი სრულად მოწესრიგდება და მეორე ეტაპი წლის ბოლომდე დასრულდება. მესამე ეტაპი ეს არის უკვე ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია, რომელსაც მომავალი წლიდან დავიწყებთ. ეს გზა სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ტურისტები, ძირითადად, ამ გზით სარგებლობენ და აქ არსებული მდგომარეობა არასახარბიელო იყო. შესაბამისად, ამ გზის გაკეთება არის მთავარი პრიორიტეტი. გზატკეცილი მოწესრიგდება სრულად, თავისი განათებებითა და გზაგამყოფით“, – განაცხადა კახა კალაძემ. კახეთის გზატკეცილზე მარჯვენა სათადარიგო ზოლზე მიმდინარე სამუშაოებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 10,4 მილიონი ლარი დაიხარჯება.

მერიამ 220 ერთეული ახალი ავტობუსის შესყიდვის პროცესი დაიწყო

„მერიამ უკვე დაიწყო 220 ერთეული, 8-მეტრიანი, ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსის შესყიდვის პროცესი. როგორც ვპირდებოდით მოსახლეობას, 2019 წლის ბოლოსთვის ჯამში 550 ერთეული ახალი ავტობუსი იქნება შემოყვანილი და არსებული ყვითელი ავტობუსების პარკი სრულად იქნება ჩანაცვლებული“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისი თქმით, რამდენიმე თვეში, მიმდინარე კვლევის საფუძველზე დადგინდება, არის თუ არა დედაქალაქში ავტობუსების დამატების საჭიროება. წლის ბოლოს თბილისში უკვე შესყიდული 90 ერთეული ავტობუსი შემოვა.

როგორი გვინდა იყოს ვარაზისხევი?

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მოსახლეობას ვარაზისხევის რეაბილიტაცია შესთავაზა და ქვაფენილთან დაკავშირებით საზოგადოების აზრით დაინტერესდა.

„დღეის მდგომარეობით, არის ქვაფენილი, რომელიც ძალიან ხშირად ზიანდება და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მიწისქვეშა კომუნიკაციებისთვის. მინდა, უბრალოდ ვიკითხო, თუ არის შესაძლებელი, რომ ქვაფენილის მაგივრად, თანამედროვე ევროპული ტიპის ასფალტი გაკეთდეს. ეს ადგილობრივ მოსახლეობასაც ვკითხოთ. მგონია, რომ ძალიან ხმაური და მტვერია, რაც, პირველ რიგში, იქ მცხოვრებ ხალხს უქმნის პრობლემას.

ჩავატაროთ გამოკითხვა, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება ხალხს და ამის მიხედვით ვიმოქმედოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ. მისი თქმით, ვარაზისხევს ისტორიული სტატუსი არ აქვს და შესაძლებელია როგორც საფეხმავლო ბილიკების გაფართოება, ისე მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგებაც.

ცხოვრების გეგმის მაგივრად, გვაქვს „პლანი“

ხმას ამოიღებ, — ვაია!
ჩუმად იქნები, — უი!
ვინც ლაპარაკობს, — ხომ ტყუის!
ვინც დუმს, — ის უფრო ტყუის!

მუხრან მაჭავარიანი

საბედისწერო გადაწყვეტილება სავალალო შედეგებით

ფსიქოლოგიაში ცნობილია კარლ იუნგის პარადოქსი, როცა იკრიბებიან არაგონივრული არსებები და იბადება კოლექტიური უგუნურება. და აი, ერთ (არა) მშვენიერ დღეს (დავარქვათ მას, პირობითად, „შავი ორშაბათი“) ამ კატეგორიის ადამიანები შეიკრიბნენ „გირჩის“ ოფისში და საოცარი დასკვნა გააშანშალეს — მარიხუანა ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელი, მსუბუქი ნარკოტიკია და მისი კულტივირება, შეძენა-შენახვა-მოხმარება სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ უნდა ექვემდებარებოდესო.

„გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ, რომელსაც პრეზიდენტობის ამბიცია აქვს, სამაგალითოდ საკუთარი გამოცდილება მოიტანა და სიამაყით განაცხადა: 14 წლიდან 35 წლამდე მარიხუანის აქტიური მომხმარებელი ვიყავი, მაგრამ ამას არც ჩემს გონივრულ განვითარებაზე და არც კარიერულ წინსვლაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენიაო! თავის ფანტაზიებში იგი უფრო შორსაც წავიდა და მარიხუანის ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაცია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დააკავშირა — ვიზიტორთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება, „დაბოლილი“ ტურისტები ბლომად ფულს დახარჯავენ, ეკონომიკა გაჯანსაღდება და ბიუჯეტი სულ ცოტა 2 მილიარდი ლარით შეივსებაო.

არ ვიცი, სხვაგან როგორაა, მაგრამ იმერეთში ასეთი უაზრობის მთქმელს დელიკატურად ეტყვიან, მაგ სიმართლით გატაროს ბიძიკო ღმერთმაო! ამ უაზრო წინადადების აბსურდულობისა და დაუსაბუთებლობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ჯაფარიძის სარჩელი და 2017 წლის ნოემბერს, მარიხუანის — დეკრიმინილიზაციის, ხოლო 2018 წლის 4 ივლისს ლეგალიზაციის გადაწყვეტილება „დაკანონა“, რითიც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ ქართულ გენოფონდსა და სახელმწიფოებრივ მდგრადობას! პარალელურად , პარლამენტში დარეგისტრირებულია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო ქაცარავას მიერ ინიცირებული და დეპუტატთა ერთი ჯგუფის (აკაკი ზოიძე, ლევან კობერიძე, დიმიტრი ცქიტიშვილი, ირინა ფრუიძე) მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიღების თაობაზე და სამუშაო რეჟიმში მიმდინარეობს მისი გახილვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ და მეორე გადაწყვეტილებას შორის პერიოდში განსაკუთრებით აქტიურობდა ლიბერალური პრესა, ტელევიზიები, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მსგავსი წარმონაქმნები, „თეთრი ხმაური“, „ალტერნატივა ჯორჯია“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აპელირებდნენ ადამიანის პიროვნული თავისუფლების ყბადაღებული თემით... რასაც ეს ფსევდოპოლიტიკოსები და ფსევდოლიბერალები სჩადიოდნენ, კანტის ფილოსოფიური შეფასებით, იყო „ხელოვნური და სწავლული უვიცობა“, უვიცობას კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, მივყავართ უგუნურ გადაწყვეტილებამდე, მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

ცივილიზებული კაცობრიობა დიდი ხანია შეთანხმებულია იმაზე, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობისა და ზნეობრივი განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა მკაცრი სამართლებრივი სივრცე და მოქმედ კანონთა აღსრულების ეფექტური მექანიზმი, ანუ, როგორც ლევან სანიკიძეს აქვს ერთგან ნათქვამი, მოსესმიერი კანონი — არა კაც ჰკლა!) და ქრისტესმიერი ზნეკეთილობა — არა გული გითქმოდეს!)..

ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი ჰარმონიზაციის მიღწევა სავსებით შესაძლებელი იქნებოდა საერო და საეკლესიო ხელისუფლების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით, რასაც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ დაინტერესებული ძალები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარედან.

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქის ნებისმიერი ეპისტოლე, ქადაგება თუ განცხადება ლიბერასტების მხრიდან ფასდება როგორც სახელმწიფო საქმეებში უხეში ჩარევა, მისმა უწმინდესობამ მყისიერი და უაღრესად მწვავე შეფასება მისცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას: **„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკოტიკების მიღების ნებართვა არის მტრობა ჩვენი ერისა.... უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკოტიკის ყოველი გასინჯვა დაცემის დასაწყისია.“**

საკმაოდ სოლიდური ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მიუხედავად, დღემდე გულუბრყვილოდ მჯერა, რომ მოსამართლე, ვერდიქტის გამოტანის მომენტში ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენის პრინციპით და მაქსიმალურად ითვალისწინებს იმ სავარაუდო შედეგებს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მის გადაწყვეტილებას. თუ ეს ასეა და არა სხვანაირად, მაშინ ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის ამ ოთხ მოსამართლეს, რომელთაგან ორი — გოცირიძე და ტურავა, ხელისუფლების წარდგენილია უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში, შინაგანად სწამდეთ იმ სახიფათო გადაწყვეტილების მართებულობა, რომელიც მიიღეს. თუ მათზე ზეწოლა განხორციელდა, ეს თავისთავად საგანგაშოა, მაგრამ გაცილებით დიდი უბედურებაა, თუ ხელისუფლების ირიბი დაკვეთა შეასრულეს და ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება ამიტომ მიიღეს. როცა პატრიარქი ასეთი კატეგორიულია თავის შეფასებაში, როცა ერის მტრობის კვალიფიკაციას აძლევს მარიხუანის ლეგალიზებას, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემის არსს. ერის მტრობა და სამშობლოს ღალატი კი ისეთი კატეგორიის დანაშაულთა ნუსხას განეკუთვნება, რომელიც არავის უნდა ეპატიოს.

მართალია, ჩვენებური ლიბერასტები დონალდ ტრამპს ამრეზით უყურებენ, აქაოდა სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს არ სწყალობსო, მაგრამ 300-მილიონიანი ქვეყნის პრეზიდენტიც კი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნარკოტიკების უკონტროლო მოხმარება საფრთხეს უქმნის ამერიკის სახელმწიფოებრიობას და რეგულაციების მიღების აუცილებლობა დააანონსა: „2016 წელს 64 ათასი ამერიკელი დავკარგეთ ნარკოტიკების მოხმარების გადაჭარბების გამო. 174 სიცოცხლე დღეში, 7 სიცოცხლე საათში. ჩვენ ბევრად უფრო მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ ნარკოდილერების მიმართ, თუ ვაპირებთ წარმატების მიღწევას“.

ფილიპინებზე, პრეზიდენტ როდრიგო დუტერტეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამოცხადებული ნარკომანიასთან, მაგრამ რეპრესიული ღონისძიებების პარალელურად, საბიუჯეტო სახსრებს არ იშურებს დაავადებულთა სამკურნალოდ. სარეაბილიტაციო პუნქტებში, მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად, პაციენტები შრომითი საქმიანობითაც არიან დაკავებული, კერძოდ, ამზადებენ კუბოებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საქმიანობის ასეთი ფორმა საკმაოდ ეფექტურია და ნარკოდამოკიდებულ სუბიექტს აიძულებს დაფიქრდეს, თუ კიდევ აჰყვება ცდუნებას, მოუწევს საკუთარი ხელით გაკეთებულ კუბოში ჩაწოლა!

როცა მაგალითად მოჰყავთ პორტუგალიის ან ჰოლანდიის გამოცდილება ნარკომანიასთან ბრძოლის სფეროში, რატომღაც არ ითვალისწინებენ რადიკალურად განსხვავებულ ხასიათს, ტემპერამენტსა და მენტალობას. ქართველები მაღალი ემოციის ხალხი ვართ, ისედაც გვიჭირს ზომიერების დაცვა და მითუმეტეს შეუძლებელი გახდება ეს ეიფორიულ მდგომარეობაში. ესეც არ იყოს, არცერთ აქ ჩამოთვლილ ქვეყანაში და თვით კოლუმბიაშიც კი, ნებადართული არ არის იმ რაოდენობის (69 მილიგრამი უპრეცედენტოდ მაღალი დოზა) მარიხუანის ფლობა, რამდენიც საქართველოში.

ლეგენდარული ფეხბურთელი მარადონა, რომელიც კოკაინის (მავანთა კლასიფიკაციით, მსუბუქ ნარკოტიკად ითვლება) მომხმარებელი იყო და... არის დღესაც, მის შესახებ გადაღებულ ფილმში ცრემლებად იღვრება და გულწრფელი სინანულით იხსენებს იმ კოშმარულ პერიოდს, როცა ნარკოტიკს იღებდა. „თუ კოკაინი ნარკოტიკია, მაშინ მე ნარკომანი ვარ,“ — ამბობს იგი და ყველას მოუწოდებს არ გადადგან პირველი საბედისწერო ნაბიჯი.

მარადონამ, როგორც ჩანს, ეს განცხადება ფულის სანაცვლოდ გააკეთა, თორემ მოსკოვს და მსოფლიო ჩემპიონატის მილიონობით მაყურებელს მისი ცრემლების არ სჯერა...

ნარკოტიკების ზემოქმედების სავალალო შედეგებზე გამუდმებით საუბრობს მდიდარი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი მეცნიერი, ბატონი გელა ლეჟავა, მაგრამ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ეტყობა საქმეს, რომ ვინმემ შეისმინა მისი შეგონება?!

— ვასწავლოთ ბავშვებს ადრეული ასაკიდან, რა არის კანაფიო, — კრეატიული წინადადებით გამოდის ი. ხვიჩია (იპოლიტე ხვიჩია არ გეგონოთ). აგერ, ბატონო, გამოჩენილი ადამიანებისა და სამეცნიერო ჯგუფების მიერ დამუშავებული მასალა, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ნარკოტიკების მავნე ზემოქმედებაზე, მაგრამ მეეჭვება, ბატონ ხვიჩიას სწავლების ასეთი მეთოდოლოგია აინტერესებდეს.

მეცნიერულად დადასტურებული და ლაბორატორიული კვლევებით განმტკიცებულია დასკვნა, რომ მინარევების გარეშე დამზადებული მარიხუანა ჭარბი დოზით შეიცავს ტეტრაჰიდროკანაბინოლს, რომელიც იწვევს ხანგრძლივ ნარკოტიკულ თრობას და განსაკუთრებით აზიანებს მოზარდის ფსიქიკას. ამ სახის ნარკოტიკის მიღების შედეგად ვითარდება პარანოია, ჰალუცინაციები და დეპრესია, რომელსაც პრინციპულობით ცნობილი მწერალი ოტია იოსელიანი გამოთაყვანებას უწოდებდა, ამ უცხოური ტერმინის ქართული შესატყვისით. დეპრესიაში მყოფი, ანუ გამოთაყვანებული ადამიანები კი მიდრეკილი არიან თვითმკვლელობისაკენ, რისი მოწმენიც არაერთხელ გავმხდარვართ ჩვენს ცოდვილ ქვეყანაში.

ცნობილი ფსიქიატრის ჯაბა ტყემალაძის მტკიცებით, ნებისმიერი ნარკოტიკი ახდენს სხვადასხვა დაავადების პროვოცირებას, ხელს უწყობს სიმსივნური კვანძების წარმოქმნას და, ადრე თუ გვიან, იწვევს სიგიჟეს. მისი აზრით, ნარკოდამოკიდებულება დაავადება კი არა, გარყვნილებაა, ისევე, როგორც ჰომოსექსუალიზმი. **„მაღალჩინოსნები, — აცხადებს ამ მოსაზრების ავტორი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მარიხუანის დეკრიმინალიზაციას, თავადაც გარყვნილი ნარკომანები და ეშმაკის დამქაშები არიან“**.

საზოგადოების ძალზედ მცირე ნაწილმა თუ იცის, რომ ნარკოტიკების მავნებლური ბუნება მისსავე დასახელებაშია ჩადებული და ეგზოტიკურ სახელსაა ამოფარებული. „ნარკოტიკოს“ ბერძნული სიტყვაა და გამაბრუებელ ნივთიერებას ნიშნავს. სიტყვა ნარკომანია კი ორი ბერძნული სიტყვისაგან — „ნარკესა“ და „მანიისაგან“ შედგება, რომელთაგან პირველი ძილსა და გაშეშებას ნიშნავს, ხოლო მეორე — სიგიჟეს, ანუ ნარკოტიკებისადმი ძლიერ ავადმყოფურ მიდრეკილებას, სწორედ ისეთს, რაზეც ჯაბა ტყემალაძე საუბრობდა.

ფსიქიატრიის კლასიკური პოსტულატების თანახმად, როდესაც ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი თავს იკლავს, ეს უბედური შემთხვევაა, ხოლო როცა ამ აქტს ადამიანთა ჯგუფი ნებაყოფლობით ახორციელებს, ეს ტრაგედიაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რამდენადაც ნარკოტიკების მოხმარება, უპირატესად, ნებაყოფლობითია, მაგრამ ნებსით თუ უნებლიეთ მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ, გამოდის, რომ ნარკომანები ნებაყოფლობით იკლავენ თავს სახელმწიფოს ხელშეწყობით, ანუ პათოლოგიური ფსიქიატრიის კლასიკური პოსტულატების თანახმად, ეს არის ტრაგედია, რომელზეც განგაში უნდა ავტეხოთ.

ძველი ბერძნები საგანგებოდ თვრებოდნენ, რათა ბავშვებისათვის ეჩვენებინათ, თუ როგორი საშინელებაა სიმთვრალე!

ლოგიკა გვავალდებულებს, საჯაროზე გამოვიყვანოთ ეს სახელდაკარგული „პლანდარასტები“ და მათი აპოლოგეტი ლიბერასტები, რათა ბავშვებს ვაჩვენოთ, თუ რა საშინელებაა ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანის ხილვა.

თუ ერი და ბერი ფეხზე არ დადგა და ერთხმად არ შეუძახა ამ ნარკომანებს, უფლის ისეთი რისხვა შეიძლება დაგვატყდეს თავს, რომლის გააზრება თანამედროვე ადამიანის წარმოსახვის შესაძლებლობებს აღემატება.

თეიმურაზ ჯანელიძე,
წყალტუბო.

P. S.

ცხონებულ გიზო ნიშნიანიძეს ჰქონდა ერთი საგულისხმო ანეკდოტი, რომელიც ერთი-ერთში ესადაგება დღევანდელ ვითარებას. მილიციის უფროსთან შეჰყავთ ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც ქუჩაში არაადეკვატური მოქმედების გამო დააკავეს.

— რა საქმიანობას ეწევით, ცხოვრების გეგმა თუ გაქვთო, — ეკითხება მილიციის უფროსი დაკავებულებს.

— ცხოვრების გეგმა არ გვაქვს, სამაგიეროდ, გვაქვს „პლანი“ და იმას ვეწევითო, — პასუხობს ერთ-ერთი დაკავებულთგანი.

დაახლოებით ასეა ჩვენი, დღევანდელი ყოფა — აწმყო ბუნდოვანია, მომავლის გეგმა არ გვაქვს, სამაგიეროდ, გვაქვს „პლანი“, რომლის მოწევის შემდეგ ადამიანი ეიფორიაშია და უაზროდ იცინის. როცა ხალხი იცინის, ეს ძალიან სახიფათო სიმპტომია, ამიტომ მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გმართებთ ერო და ბერო!

თ. ჯ.

ასე ამბობდა ლეონარდო და ვინჩი



ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ლეონარდოს ნაგულთმისნარ ნაწინასწარმეტყველებანი

მიწის სიღრმიდან მოპოვებული რკინა უსიცოცხლო რამ ლითონია, მაგრამ იმისგანვე ისეთ იარაღს ჭედავენ, რომელიც სულსა ხდის აურაცხელ სულდგმულს.

* * *

ადამიანები ივლიან, ოღონდ წინ ვერ წაიწევენ: დაელაპარაკებიან იმათ, ვინც არ არსებობს, იმის ხმას გაიგონებენ, ვინც არ მეტყველებს.

* * *

დადგება ის დროც, როცა ადამიანები, ვარსკვლავთა წყალობით, რომელიმე ფეხმარდი ცხოველის თანაბრად აკრეფენ სიჩქარეს.

* * *

არც კიდევ ის დრო დააგვიანებს, როცა ჰაერში თვალუწვდენელ სიმაღლეზე უზარმაზარნი გველნი ბრძოლას გაუმართავენ ფრინველთ.

* * *

და ბევრი მიწისზედა თუ წყლის ცხოველნი აიზიდებიან ვარსკვლავებს შორის.

* * *

ადამიანებს მოეჩვენებათ, რომ ცაში ხედავენ ბევრ ახალ უბედურებას, და კიდევ ისიც ეგონებათ, რომ ცად მაღლდებიან და თავზარდაცემულნი ეშვებიან ციდან ჩამოფრქვეული ცეცხლისგან თავის დასაღწევად.

* * *

ნაღვლიანი და შემზარავი საგანი რამ ისეგვარად დააშინებს თავისი გარეგნობით ადამიანთ, რომ ისინი უგუნურებსავით, იმისგან გაქცევის ფიქრში, ჰაიჰარად შეეწევიან იმის უსაზღვრო ძალთაძალს.

* * *

ისეთი რამ მავანი გამოჩნდება, თავდაუზოგავად რომ არუდუნებს ადამის შვილთ, რომელთაც დიდი ჭაპანწყვეტა მოუწევთ იმისთვის, რათა შეწევნილნი იყვნენ იმისგან.

* * *

ადამის შვილნი იქით გაესწრაფებიან, რასაც ყოვლის უფრო მეტად ეშინით, ანუ იმისთვის გაიჭირვებენ და დაიდგამენ წელებზე ფეხებს, რათა გაჭირვებაში არ აღმოჩნდნენ.

* * *

ადამიანები იქამდე მივლენ, რომ მადლად მიიჩნევენ იმას, რომ სხვანი გაიხარებენ იმათი უბედურებით, ანდა, უფრო სწორად, ყველაზე ფასეული იმათი სიმდიდრის, ანუ ჯანმრთელობის დაკარგვით.

* * *

მრავალნი იქნებიან ისეთნი, ვინც ხელს აიღებს ყოველგვარ საქმიანობაზე, შრომა-გარჯაზე, ცხოვრების სიღატაკეზე, ადგილ-მამულზე და კეთილნაშენებ სარათს, ანუ სრა-სახლს შეეკედლება მდიდრული ცხოვრებისთვის, რითაც იმის დამტკიცებას ეცდება, რომ ეს არის არსთა გამრიგესთან დამეგობრების საშუალება.

* * *

მოვლინდებიან ადამიანისდამაგვარი უზარმაზარი არსებანი, რომელთაც რაც უფრო მიეახლოვები, მით უფრო შეიმცირებენ ისინი თავიანთ უზომო სიდიდეს.

* * *

მიწა გაიპობა... განაპობიდან ამოიჯოგებიან წყვდიადით შემოსილნი მხეცნი, რომელნიც საოცარი ნახტომებით ეკვეთებიან ადამიანთა მოდგმას, რომელიც მხეცთაგან დაღრღნილი და სისხლჩამომდინარი ჩაინთქმება იმათგან.

* * *

ადამიანთ იმზომ სასტიკი რამ სენი შეეყრებათ, რომ საკუთარი ფრჩხილებით დაიგლეჯენ ხორცს.

* * *

ჩვილთ დედის რძის ნატრულთ გახდიან.

* * *

მამრთა უმრავლესობას აეკრძალებათ გამრავლება, რამეთუ წყვილგამოსხმულნი, ანუ სათესლე ჯირკვალმოცლილნი იქნებიან.

* * *

და უკეთუ ადრე ყმაწვილქალობა თავს ვერ იცავდა მამრთა ავხორცობისა და გამტაცებლობისგან ვერც დედ-მამის მეთვალყურეობით და ვერც ციხე-სიმაგრის კედლებით, სამაგიეროდ, მოვა დრო, როცა აუცილებელი გახდება ამ ყმაწვილქალთა მამამ და ნათესავთ დიდი ფასი გადაუხადონ იმათ, ვინც იმ ყმაწვილქალთა გვერდით წოლას მოინდომებს, თუნდაც ის ყმაწვილქალნი მდიდარნი, კეთილშობილნი და თვალმწყაზარნი იყვნენ. რა თქმა უნდა, ისე ჩანს, თითქოს ამჯერად ბუნებას ადამიანთა მოდგმის აღმოფხვრა უნდოდეს, როგორც ქვეყნიერებისთვის უსარგებლო რამ ამბისა და ყოველივე ქმნილის წამხდენისა.

* * *

ბედკრულნი დიაცნი თავიანთი ნებით მიადგებიან მამრთ, რათა გამოამჟღავნებინონ მთელი თავიანთი ავხორცობა და სამარცხვინო ფარული ზრახვები.

* * *

ადამის შვილები გაფრინველდებიან და კუბოებიდან ამოვლენ, თავს დაესხმიან სხვა ადამის შვილთ, ხელიდან გამოგლეჯენ და ტაბლიდან ააცლიან საზრდელს... ხოლო ისინი, ვინც ჰაერით იკვებება, ღამეს დღედ გადააქცევენ.

* * *

ვაი! მაცხოვარს კვლავ ჯვარცმულს ვხედავ, კვლავ გაყიდულსა და ჯვარზე გაკრულს ვხედავ, ხოლო ქრისტეს წმინდანთ — ნაწამებთ.

* * *

აღმოსავლეთში გარდაცვლილ ერთ დიდ ადამის შვილს ევროპის სუყოველ ნაწილში იგლოვებენ.

* * *

და რაოდენნი იქნებიან ისეთნი, ვინც თავის გარდაცვლილ წინაპართ ლამპარმიტანილი დაიტირებს.

* * *

თეთრსამოსლიანები ქედმაღლურად ივლიან აქეთ-იქით და რკინითა და ცეცხლით დაემუქრებიან იმათ, ვისაც არცრა დაუშავებია იმ თეთრსამოსლიანთათვის.

* * *

ბევრი იქნება ისეთი, რათა თავის ხელოვნებაში ივარჯიშოს, ფეშტამლის ყაიდაზე გამოჭრილ უძვირფასეს სამოსელში გამოეწყობა.

* * *

ბევრი, ვინც ძის რწმენას აღიარებს, ტაძრებს ოდენ დედის გულისთვის ააშენებს.

* * *

ფარისეველნი, რომელ არიან წმინდა მამანი.

* * *

ადამის შვილნი სიტყვით მიმართავენ იმ ადამის შვილთ, რომელნიც ვერ გაიგონებენ, ისინი თვალგახელილნი იქნებიან, მაგრამ დანახვით ვერაფერს ვერ დაინახავენ; ასეთებს კი დაელაპარაკებიან, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსებიან. ისინი წყალობას შესთხოვენ იმათ, ვისაც სასმენელნი აქვს, მაგრამ არცრა ესმის; ისინი იმათ მიუნათებენ, ვინც ბრმაა, უთვალისჩინოა.

* * *

ადამის შვილთა მოდგმა იქამდე მივა, რომ ერთი ვერ გაიგებს მეორის მეტყველებას, ანუ გერმანელი — თურქისას.

* * *

თქვენ, აფრიკის ქალაქნო, მოიხილავთ, თუ ვითარ მოჰკვეთენ ხელ-ფეხსა და თავებს თქვენებურთ საკუთარ ჭერქვეშ თქვენივე ქვეყნის უსასტიკესნი მტაცებელნი მხეცნი.

* * *

ზეციდან ჩამოვა მავანი მამრი, ვინც შეცვლის აფრიკის იმ დიდ ნაწილს, ევროპის ზეციდან რომ მოჩანს, და ევროპის მეორე ნაწილსაც, და დიდი გადატრიალების ჟამს სკვითების პროვინციათა ნაწილები ერთმანეთში შეირევიან.

* * *

ადამის შვილნი ტყეებსა და ველებზე აღმოცენებულ ხეებს შორის დაიძინებენ, ჭამენ და იბინადრებენ.

* * *

ბევრნი იქნებიან ისეთი ხალხნი, რომელნიც თავიანთ შვილებთან და სურსათ-სანოვაგის მარაგთან ერთად ბნელი გამოქვაბულების სიღრმეში დაიმალებიან და იქ წყვდიადში, მრავალი თვის განმავლობაში, ისაზრდოებენ ოჯახთან ერთად ყოველგვარ ხელოვნურ თუ ბუნებრივ შუქს მოკლებულნი.

* * *

ბევრნი, სანამ თავად ცეცხლში დაიწვებოდნენ, უამრავ ადამის შვილს თავისუფლებას წაართმევენ.

* * *

დედამიწის ზურგზე იმნაირნი ცხოველნიც გაჩნდებიან, სულ ერთმანეთის ბრძოლაში რომ იქნებიან, თანაც ორივე მხარისთვის უდიდესი დანაკლისით და სიკვდილიანობით. იმათ თავიანთი ბოლმის საზღვარი არ ეცოდინებათ. იმათი სხეულის თითოეული სასტიკი ასო-ნაკვთის გულისთვის სამყაროს უდიდეს ტყეთა ხეების უმეტესი ნაწილი მიწაზედ დაეცემა; და ოდეს ის ბოროტნი ცხოველნი დაძღებიან, მაშინ იმათი სურვილების საზრდო გახდება სუყოველი სულდგმულისთვის სიკვდილი, ტანჯვა-წამება. ომი და დამაქცევარი უგუნურება და თავიანთი უზომო სიამაყისა გამო ისინი ახლა ზესკნელში ასვლას მოისურვებენ, მაგრამ თავიანთივე ნაკვთ-ასოთა ზედმეტი სიმძიმე დაღმა ჩამოათრევს. არცრა დარჩება არც მიწაზე, არც მიწისა თუ წყალქვეშ, რომ არ იდევნებოდეს, არ გადაადგილდებოდეს ანდა არ ფუჭდებოდეს: და რაც ერთ ქვეყანაში იყო, ის გადაინაცვლებს მეორეში და იმ ცხოველთა სხეულნი გადაიქცევიან საფლავებად და გადასასვლელ ტალანებად ოდესღაც თვითონ იმათგანვე, იმ ცხოველთაგანვე მოკვდინებული სუყოველი გასულიერებული სხეულისთვის; ო, დედამიწავ, რატომ არ განიპობი, რათა ისინი შენთა თვალჩაუწვდენელ უფსკრულებს და უღრმეს ნაპრალებში ჩაყარო და მეტად აღარ მოუვლინო უზეშთაესს ეგზომ უჟადადუჟი და გულქვა ურჩხული?

(გაგრძელება იძნება)

ჯუზეპე კადესი, „ლეონარდო და ვინჩის სიკვდილი“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №149-158, 162-163, 166

უფუნქციო პრეზიდენტობაც ფუნქციაა!

საპრეზიდენტო არჩევნების მთავარი თემა რომ მომავალი პრეზიდენტის სასახლეში შესვლა-არშესვლის საკითხი იქნებოდა, საეჭვო არ იყო. მმართველი გუნდის ხელმძღვანელის მიერ არასაჯაროდ წამოყენებული კანდიდატი რომ პირველსავე განცხადებას სასახლის საკითხს მიუძღვნიდა, არც ეს იყო გასაკვირი.

„ნეიტრალურმა“ პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა საკუთარი კანდიდატურის დასახელებისთანავე პრეზიდენტის სასახლე გაიხსენა და თანაც როგორ?!

მავანი შემედავება, ზურაბიშვილი ნეიტრალური კანდიდატია და რა შუაშია „ოცნებაო“.

შუაშიც არის და თავშიც, ვინაიდან „ნეიტრალურმა“ პარლამენტარმა ზურაბიშვილმა საკუთარი სურვილის სახალხო გამჟღავნებამდე „ოცნების“ პარტიის ლიდერს ივანიშვილს მიაკითხა და მასთან დალაპარაკების შემდეგ გადაწყვიტა პრეზიდენტობა, მაპატიეთ პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ჩართვა, თუმცა „უნებლიედ“ ნათქვამი „პრეზიდენტობა“ სულაც არ წამომცდენია — ფაქტებმა და საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მათქმევინა.

თვალი გადავავლოთ განვლილ ნახევარ წელიწადს და იმ ვნებათაღელვას, რასაც პრეზიდენტი მარგველაშვილი იწვევდა „ოცნებასა“ და მის ლიდერ ივანიშვილში. უდავოდ ნეგატიური იყო ამ პარტიის დამოკიდებულება მარგველაშვილის მიმართ, მაგრამ რა გაეწყობოდა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე დიდი დრო იყო დარჩენილი, ამდენად მმართველ პარტიას მოთმინება უნდა გამოეჩინა, თან ისეთი ნაბიჯი გადაედგა საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებისას, რომ შემდგომში სინანული არ ეგრძნო.

და დაიწყო შერჩევა, ანუ კანდიდატურების საჯარო გამოცხადება — მოარული ჭორის დონეზე, მედიის მიერ გაპიარებული. ვინ არ დასახელდა კანდიდატად. იყვნენ ცნობილი ქალებიც და კაცებიც, ცხადია, „საოცნებო“ გუნდიდან, მათ შორის — პირველსავე დღიდან, ზურაბიშვილიც. შემდეგ გავრცელდა მოსაზრება, რომ ივანიშვილს პრეზიდენტად ქალი უნდა.

მედია გამორჩეული „თავდადებით“ იხილავდა ყველას, მაგრამ აქცენტს ზურაბიშვილზე აკეთებდა. საფრანგეთში დაბადებული და გაზრდილი, მერე რა ოჯახში — ნიკოლაძის შთამომავალი, უცხო ენების მცოდნე, დიპლომატი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სააკაშვილის ხელდასხმით, შემდეგ სააკაშვილის პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებული და ოპოზიციაში გადასული.

დღესაც კი ბევრი მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილმა ცხარე კამათის შემდეგ გაწყვიტა სააკაშვილთან ურთიერთობა და მიატოვა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი.

არადა, სინამდვილეში სრულიად შებრუნებით იყო საქმე. ზურაბიშვილმა ლონდონში ყოფნის დროს შეიტყო თავისი გათავისუფლების ამბავი და ჟურნალისტების შეკითხვაზე — როგორ აღიქვამს ამას, მან უპასუხა — მე ჯერ სააკაშვილს არ დავლაპარაკებივარ, დაველაპარაკები და მერე გეტყვით ჩემს აზრსო.

მინისტრად ყოფნის სურვილი იმდენად ძლიერი იყო და ეს ჩანდა ლონდონში ჩვენი მხარის მიერ მასპინძლებისთვის გამართულ ბანკეტზე, რომ სააკაშვილის პოლიტიკის წინააღმდეგ „ამხედრებული“ მინისტრი ასე ლაღად და საკუთარ თავში დაჯერებულად ვერ იქნებოდა.

სააკაშვილის გადაწყვეტილება გათავისუფლების თაობაზე, პრემიერ-მინისტრმა გაანდო. და როდესაც ის დარწმუნდა, რომ მინისტრობას ვერ გაგრძელებდა, ხალხს მიმართა — ყველანი იპოდრომზეო. და შეიყარა უამრავი „სალომისტი“, ცხადია, „ანტიმიშისტი“, რომელთაც ზურაბიშვილმა ასეთი ფრაზა აჯახა — „ქაჯები კი არ მიდიან, ქაჯები მოდიანო!“.

ეს უბრალოდ გახსენებისთვის.

ზურაბიშვილის პიროვნება რომ ივანიშვილისთვის ყოველმხრივ მისაღები იქნებოდა, გასაკვირი არაფერია. ისინი, ორივენი ერთი ქვეყნის, ანუ საფრანგეთის მოქალაქეები არიან. გარდა ამისა, ზურაბიშვილი საფრანგეთში მცხოვრები მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლის შთამომავალია, ასე თუ ისე ცნობილი იმ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში. ამ ნაბიჯით ივანიშვილი ორ კურდღელს იჭერს. ერთს — ნეიტრალური პოლიტიკოსის სახით, მეორეს — ქალის, თან უცხოეთში დაბადებულის და გაზრდილის.

მავანი შემედავება, ისე ვწერ, თითქოს ზურაბიშვილი უკვე პრეზიდენტი იყოს.

ეს რომ ასე არ იყოს, ხმას არ ამოვიღებდი, თან მისი ქცევა მიკარნახებს ამას — ივანიშვილთან კონსულტაცია, საფრანგეთის მოქალაქეობიდან გასვლის

განცხადებით საფრანგეთის საელჩოსთვის მიმართვა და ა.შ.

თვითონ განსაჯეთ — ღირს საფრანგეთის მოქალაქეობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება საპრეზიდენტო მარათონში ჩაბმისთვის, თუ გამარჯვების ასპროცენტიანი გარანტია არ არსებობს?

სწორედ ეს გარანტია მიიღო ზურაბიშვილმა ივანიშვილისგან. ასე, რომ, ტყუილად იჭყლეტენ ტვინს „ოცნებელი“ „რუპორები“ — პარტიაში აზრთა სხვადასხვაობაა და ჩვენ ჯერჯერობით საბოლოო სიტყვა არ გვითქვამსო.

კონსულტაციის დროს უდავოდ იქნებოდა მსჯელობა პრეზიდენტის სასახლეში შესვლაზეც და ის, რაც ზურაბიშვილმა უმალ შეგვატყობინა — იქ არ შევალ, ათონელზე არსებულ შენობაში დავიდებ ბინასო. ეს კი უეჭველად მიანიშნებს ივანიშვილის სურვილზე, რომელიც მარგველაშვილმა აუხდენელი გახადა.

ზურაბიშვილმა ვრცლად ილაპარაკა ათონელის ქუჩაზე არსებულ სახლზე — მომავალში პრეზიდენტის სასახლედ წოდებულზე, მის დადებით მხარეებზე. ხაზგასმით აღნიშნა, რომ უფრო შეეფერება ქალ პრეზიდენტს.

ზურაბიშვილის შემდეგ პრეზიდენტად კაცი რომ აირჩიონ, მაშინ რა მოხდება?

ესოდენ მსუბუქი მიდგომა პრეზიდენტის ადგილსამყოფელის მიმართ აშკარა მანიშნებელია საზოგადოების ზერელე დამოკიდებულებისა ქვეყნის უმაღლესი ინსტიტუტისადმი.

პრეზიდენტის სასახლე ქვეყნის გერბთან, დროშასთან, ჰიმნთან ერთად ის მთავარი ატრიბუტია, ქვეყნის ქვეყნობას რომ გამოხატავს.

პრეზიდენტის სასახლე არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში არ არსებობდა გასაგები მიზეზების გამო. დამოუკიდებლობის მიღებისთანავე ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ ააშენა პრეზიდენტის სასახლე. ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს, ტელეეკრანზე მაინც დაუნახავს აზერბაიჯანის, ბელარუსის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, სხვა ქვეყნების პრეზიდენტების სასახლეები. მათთან შედარებით სააკაშვილის დროს აშენებული სასახლე უდავოდ მოკრძალებულია.

პრეზიდენტის სასახლის არქონამ სერიოზული პრობლემები შექმნა ამ ინსტიტუტის გაჩენისთანავე. გახსოვთ, ალბათ, გამსახურდია ჯერ უზენაესმა საბჭომ აირჩია პრეზიდენტად, შემდეგ ხალხმა — საყოველთაო არჩევნების დროს. უმალ შეიქმნა პრობლემა პრეზიდენტის და მისი აპარატის განთავსებასთან დაკავშირებით. იძულებული შევიქმენით პარლამენტის შენობის ნაწილი, სადაც წინათ (საბჭოთა პერიოდში) მინისტრთა საბჭო იყო განთავსებული, პრეზიდენტისთვის დაგვეთმო, რაც ერთობ უხერხულ ვითარებას ქმნიდა ყველა თვალსაზრისით, განსაკუთრებით პროტოკოლის. პრეზიდენტს სხვა სახელმწიფოებრივი საქმის გარდა, პროტოკოლური ფუნქციების შესრულებაც უწევდა.

უკბილოა იმის მტკიცება, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს არ სჭირდება სასახლე. სასახლე პიროვნებას, ანუ პრეზიდენტად არჩეულს კი არ სჭირდება, ქვეყანას სჭირდება.

სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ „უფუნქციო“ პრეზიდენტის სასახლის შენახვაზე ბევრი ფული იხარჯება. ათჯერ და ასჯერ მეტი ფული იხარჯება პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში მისვლა-მოსვლაში. პარლამენტთან ერთად აპარატიც მოგზაურობს. უზომო რაოდენობის საწვავის, ქუთაისში ბინების დაქირავების ხარჯები ხარჯები არ არის?!

„ოცნების“ მიერ 2012 წელს გაცემულ დანაპირებში ქუთაისიდან თბილისში პარლამენტის დაბრუნება პირველ საკითხთა შორის იყო. დღეს? ყველა გაურბის ამ თემაზე ლაპარაკს. არადა, რამდენი მილიონი იხარჯება აქეთ-იქით ხეტიალში?!

ამ მაგალითის მქონემ სიტყვაც არ უნდა დაძრას პრეზიდენტის სასახლის ხარჯებზე. ბოლოს და ბოლოს, თუ გვაქვს სახელმწიფო და გვყავს პრეზიდენტი — სასახლეც უნდა გვქონდეს, შესაძლოა, იმაზე უკეთესიც, რაც არის, მიუხედავად იმისა, პრეზიდენტს ექნება თუ არა ფართო ფუნქციები. პრეზიდენტობა უკვე ფუნქციაა!!!

სალომე ზურაბიშვილმა ბრძანა, რომ ის სხვანაირი პრეზიდენტი იქნება — ფეხით ივლის, ბაზარშიც წავა და ა.შ. როგორც ჩანს, მას გათვითცნობიერებული არა აქვს პრეზიდენტის ინსტიტუტის რაობა. ფეხით სიარული სულაც არ ნიშნავს დაცვის გარეშე კუნტრუშს. და თუ ამას ექნა ადგილი, დაცვის სამსახური დაისჯება უსაფრთხოების დარღვევისთვის.

ფეხით მოსიარულე სალომეს, შორიახლოს დაცვის მანქანები და მუშაკები მაინც გაჰყვებიან და ამას ვერაფერს უზამს „თავისუფლების“ მოყვარული პრეზიდენტი.

ყველამ, მათ შორის პრეზიდენტობის მსურველმა, კარგად უნდა იცოდეს, რომ პრეზიდენტობა უსაფრთხოების წესების დაცვას საჭიროებს; რომ პრეზიდენტობის დროს შეზღუდული იქნება გადაადგილება.

საერთოდ, პრეზიდენტები სასახლეში ცხოვრობენ, რაც თავისთავად გამორიცხავს დღის განმავლობაში, დილით და საღამოს ქუჩების გადაკეტვას (სამსახურში მისვლა-წასვლისას), პრეზიდენტის ავტომანქანების კორტეჟისთვის საწვავის ხარჯვას და ა.შ.

პრეზიდენტობა არცთუ მსუბუქი ტვირთვია, რაც არ უნდა თავისუფალი იყოს ყოველდღიური სახელმწიფო საქმეებიდან.

უნებლიეთ იბადება კითხვა — რა ბედი ეწევა სააკაშვილის სასახლეს?

გამოცხადდება ტენდერი და ვიღაც ბიზნესმენი შეიძენს, რის შემდეგაც ისე გადააკეთებს მას, სააკაშვილიც რომ ვერ იცნობს.

გაივლის დრო. შეიცვლება კონსტიტუცია. პრეზიდენტი ისევ პრეზიდენტი გახდება შესაბამისი ძალაუფლებით და დადგება პრეზიდენტის სასახლის საკითხი. ძველის მორჯულება გაჭირდება და ახლის მშენობლობის საკითხი წამოიწევს. ასე ვივლით ძველიდან ახალ სასახლეებში, ვიდრე ფიზიკურად იარსებებს ქვეყანა. ივარგებს?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ესტონეთი ქართველ სპეციალისტებზე ნადირობს

ესტონეთი, ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა, იწყებს დასაქმების პროგრამას სახელად Career Hunt. პროგრამა ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში წამყვან კომპანიებთან ერთად და მიზნად ისახავს ქართველი სპეციალისტების მოძიებას, რომლებიც იბრძოლებენ წამყვანი პოზიციების დასაკავებლად ისეთ საერთაშორისოდ ცნობილ კომპანიებში, როგორებიცაა: Taxify, Twilio, Microsoft, Veriff და Swedbank.

შერჩეული კანდიდატები 5-დღიანი ვიზიტით გაემგზავრებიან ესტონეთში, სადაც ისინი შეხვდებიან საინფორმაციო ტექნოლოგიების გიგანტებს, ეწვევიან NATO-ს კიბერთავდაცვის ცენტრს, დაესწრებიან ყველაზე მასშტაბურ რობოტიქსის ფესტივალს რობოტექსი და მიეცემათ შანსი, მიიღონ მონაწილეობა დასაქმების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ გასაუბრებებში.

საერთაშორისო დასაქმების პორტალი Jobbatical ეხმარება დამსაქმებლებს, მოიძიონ შესაფერისი კანდიდატები და გამართონ წინასწარი გასაუბრებები. Jobbatical-ის აღმასრულებელი დირექტორის კაროლი ჰინდრიკსის თქმით, ტექნოლოგიების სექტორში კადრების ნაკლებობა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა და ესტონეთი აღნიშნული კამპანიებით ცდილობს, შეცვალოს კადრების მოძიების არსებული მეთოდი.

ჩვენ იმ გვარისანი ვართ...

მარცხნიდან მარჯვნივ: ნიკოლოზ ესაკია, ალბერტ ჩურკინი, ნოდარ ემუხვარი, გურამ გუნავა.

ემუხვარების გვარი საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის ერთ-ერთი ცნობილი და გამორჩეული გვარია. ისინი ყოველთვის განსაკუთრებულად იცავდნენ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, ადათ-წესებს და, რაც მთავარია, მტკიცედ იდგნენ ძმობისა და ერთიანობის ტრადიციებზე. ემუხვარების გვარმა არაერთი სასახელო ვაჟკაცები აღუზარდა ჩვენს ქვეყანას... არზაყან ემუხვარი, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს აქტზე ნოე ჟორდანიასთან ერთად პირველს აქვს ხელი მოწერილი. მთელი საქართველო იცნობდა ექიმ გიორგი (ჟორა) ემუხვარს, აფხაზეთსა და საქართველოში ცნობილ მშენებელ-ინჟინერს ჯუმკა ემუხვარს, ტრანსპორტის გამოცდილ მუშაკს, ინჟინერ გურამ ემუხვარს, მე მხვდა ბედნიერება, პირადად გავცნობოდი და წლების განმავლობაში მენახა ემუხვარების შემდგომი თაობის საქმიანობა, როგორი თავდადებული, სასახელო და ძლიერი ადამიანები იყვნენ ბატონი ნოდარ დიმიტრის ძე ემუხვარი და ღირსეული ქალბატონი, ექიმი-გინეკოლოგი პოლინა ემუხვარი.

პირველი გახლდათ მასშტაბურობით ცნობილი ენგურჰესის მშენებლობაზე, მთავარი ინჟინერი, ხოლო მეორე – ერთ-ერთ კოლორიტულ აბაშის რაიონში ათეული წლების განმავლობაში მთავარი ექიმი-გენეკოლოგი. სწორედ ამ ღირსეულ ადამიანებზე მინდა საუბარი:

1961 წლის მარტში ენგურჰესის მშენებლობის დაწყებისთანავე გავიცანი ბატონი ნოდარ დიმიტრის ძე ემუხვარი. მისი ადამიანური თვისებები, ხასიათი, ადამიანებთან მიდგომა, ძლიერი და შთამბეჭდავი იყო, ინტელექტი, ტექნიკური საკითხების ცოდნა ყველასგან განსხვავებული.

1961 წლიდან რამდენიმე მშენებელთან ერთად სათავეში ენგურჰესს ჩაუდგა ორი გამოცდილი პიროვნება – ვასილ ყაველაშვილი და ნოდარ ემუხვარი, პირველი სამმართველოს უფროსი და მეორე მთავარი ინჟინერი. ოთხი რაიონის: ზუგდიდის, გალის, წალენჯიხის და ოჩამჩირის ტერიტორიებზე დაიწყო ამ უნიკალური კომპლექსის, ენგურჰესის მშენებლობა. მშენებლობის რადიუსი შეადგენდა 105 კმ-ს, საბოლოოდ, სხვადასხვა კატეგორიის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთა რაოდენობა გახლდათ 12 ათასზე მეტი, 17 ქალაქის ტიპის დასახლებებში, მოსახლეობის რაოდენობა გახლდათ 35 000, ოცზე მეტი სხვადასხვა ეროვნებისა. მიუვალ ადგილებზე, ფაქტობრივად, ხრიოკებზე უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობები იყო, არ იყო წყალი, კანალიზაცია, შენობები, კვების ობიექტები, საბავშვო ბაღები და ა.შ.



ნოდარ ემუხვარი

საჭირო იყო თითოეული საკითხისადმი გონივრული მიდგომა, როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე ხანგრძლივი დროის პერსპექტივების გათვალისწინებით. ყველაფერ ამას ხორცი შეასხა ბატონი ნოდარ ემუხვარის ნიჭმა და უნარმა, ტექნიკური საკითხების დასაბუთებულმა ცოდნამ... საბოლოოდ ენგურჰესის ტერიტორიაზე ემუხვარმა დიდი გამარჯვება იზეიმა. სწორედ ამ საკითხთა გადაწყვეტით დაიწყო ენგურჰესის ტერიტორიაზე დიდი სამუშაოები, უნიკალური თაღოვანი კაშხალის მშენებლობა. ამ კაშხალს ტექნიკური სირთულეებითა და სიმაღლით ანალოგი არა აქვს. თაღოვან კაშხალზე დაიწყო მშენებლობის მთელი კომპლექსის ჩატარება, რაზედაც დამოკიდებული იყო საბოლოო შედეგების მიღწევა. სწორედ ამ უბანზე გადაინაცვლა ბატონმა ნოდარმა მთავარ ინჟინრად. პრაქტიკულად, ყველაზე რთული, გაუთვალისწინებელი პრობლემები უნდა გადაეწყვიტა, მან ეს გამოწვევა მიიღო და ბრწყინვალედ ჩაამთავრა კიდეც.

ენგურჰესის მშენებლობის ერთიანი პროექტი მოიცავდა ძალიან დიდ სირთულეებს, რომელთაგან ძირითად ფუნდამენტურ მამოძრავებელ ძალას კაშხალის საპროექტო სამუშაოების სრულყოფილად შესრულება წარმოადგენდა. მართალია, სამუშაოს სრულყოფილად შესრულებას ხელმძღვანელობდნენ ისეთი ცნობილი ჰიდრომშენებლები და ორგანიზატორები, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ ესაკია, ყოფილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ინჟინრულ ნაგებობათა მშენებლობის გენერალ-ლეიტენანტი, შრომის გმირი, სხვადასხვა უმაღლესი ხარისხის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, კონსტანტინე დადიანი, მირიან ებრალიძე, ნოდარ ჭარხალაშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, იური ჭედია, ასევე ახალგაზრდა ინჟინერთა ბრწყინვალე თაობა: ნოდარ შარტავა, იური გუგუჩია, დემურ დგებუაძე, ოთარ ჭინჭარაული, ომარ სარალიძე, ფელიქს იზორია, ჟურვალ პაჭკორია, სოსო ჩხაიძე, დოდიკ ქუჩულორია, კუკური კვარაცხელია, ვახტანგ ჩიქოვანი, მოველი ჭაავა, მაგრამ მთავარ დასაყრდენ პიროვნებებად გვევლინებოდნენ ბატონი ნოდარ ემუხვარი, რამინ ფიფია, ავთანდილ ჩალაძე, გოგი მუჯირი, კოტე ნანავა, ანზორ ქუჩულორია, ჯამბულ ჭითანავა, გურამ ნაჭყებია, ამირან ჭიჭინაძე, ადიკო გვალია, კარლო ვეკუა.

ბატონ ნოდარ ემუხვარს პატივს სცემდნენ და ყურადღებით ეკიდებოდნენ მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელები მიხეილ გვიშიანი, ბაკურ გულუა, ანზორ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, იური წოწორია, პროფკავშირების გაერთიანებული თავმჯდომარე გიორგი (ჟორა) მიქავა, ახალგაზრდობის ხელმძღვანელი მურმან ნაჭყებია, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ღვაწლმოსილი და სახელოვანი პიროვნება ტერენტი ხუბუა.

მე მაშინ ერთიანი მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელი გახლდით და თვალწინ მიდგას ბატონი ნოდარის დიდი ძალა, დაუშრეტელი ენერგია, უძილო ღამეები და მაღალი პროფესიონალიზმი, მისი ხელმძღვანელობით დიდი კვლევა-ძიება და შემდგომ, რთული სამუშაოების ჩატარება. უფრო კონკრეტულად, კაშხლის სიმაღლე თავიდან 350 მ უნდა ყოფილიყო, სადაც ჩაეწყობოდა დიდი მოცულობის რკინა-ბეტონი. მაგრამ კაშხლის მარჯვენა მხარე გეოლოგიურად სუსტი აღმოჩნდა, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: წყლის ასეთი დაგუბების პირობებში, წნევის ძლიერი დაწოლა იქნებოდა მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ფაქტობრივად, ორივე მხარე უნდა ყოფილიყო გეოლოგიურად მტკიცე. ქანების ძლიერი სიმკვრივით, მაგრამ მარჯვენა მხარე სუსტი გამოდგა, ამიტომ ბატონი ნოდარის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, რომელიც დამატებით ღონისძიებებს ახორციელებდა. კერძოდ, კაშხლის თავზე გაყვანილ იქნა დამხმარე გვირაბი, მას რამდენიმე განშტოება მიეცა, საიდანაც სპეციალური ცემენტით იგც-თი იყო დამზადებული ბეტონი. ამ სამუშაოების შესრულება ძალიან სპეციფიკური იყო, არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი მილიმეტრი ბეტონით გაუმაგრებელი, სამუშაო იყო ზუსტი და უმაღლეს ხარისხზე შესასრულებელი. ყველა ეს და სხვა აქტუალური სამშენებლო ნაწილი ვადაზე ადრე შესრულდა. სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა, კაშხალზე დაწყებულიყო რკინა-ბეტონის ჩადების სამუშაოები. ამ ურთულეს საქმეში ყველა ღონისძიების წარმმართველი და გადამწყვეტი გახლდათ ბატონი ნოდარ ემუხვარი.

მინდა შევეხო მეორე მნიშვნელოვან მომენტს, იმასთან დაკავშირებით, რომ ენგურჰესის მშენებლობა ძლიერ გაჭიანურდა, საბოლოო შედეგები ელექტროენერგიის გამომუშავება და მიწოდება ჯერ კიდევ არ ჩანდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომას უნდა გადაეწყვიტა მშენებლობისთვის დამატებითი დაფინანსების საკითხი და დაფინანსება უნდა გაეზარდა 150-160 მილიონი მანეთით.

პოლინა ემუხვარი

პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდა ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის საკავშირო მინისტრი პეტრე ნეპოროჟნი, შეიქმნა დაძაბული მდგომარეობა, ვინაიდან, ენგურჰესი თითქმის 10 წელი შენდებოდა, დახარჯული იყო საკმაოდ სოლიდური თანხა – 680 მილიონზე მეტი. არსებულ სიტუაციაზე დაწვრილებით ილაპარაკა ენგურჰესის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ნიკოლოზ ესაკიამ. მიუხედავად ასეთი კვალიფიციური ანალიზისა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სანამ თანხას გამოყოფდნენ, შეესწავლათ მშენებლობის მიმდინარეობა, თანხის ხარჯვის სისწორე, რისთვისაც გამოიყო უმაღლესი დონის სახელმწიფო კომისია საბჭოთა კავშირის სახალხო კონტროლის თავმჯდომარის, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის გენადი ვორონოვის თავმჯდომარეობით. მოადგილედ დაინიშნა საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვლადიმერ ისაევი. მთლიან კომისიაში გაერთიანდნენ სხვადასხვა უწყების მაღალი რანგის წარმომადგენლები, სულ 15 კაცი.

კომისია 20 დღის განმავლობაში მუშაობდა მშენებლობაზე, შეჯამების მიზნით ჩამოვიდნენ გენადი ვორონოვი და ვლადიმერ ისაევი. აი, სწორედ ამ მომენტში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ნოდარ ემუხვარის დიდი ნიჭი და გონიერება. მართალია, საერთო კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მიჰყავდა ისეთ უძლიერეს პიროვნებას, როგორიც გახლდათ ნიკოლოზ ესაკია, მაგრამ მთელ რიგ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს ბატონი ნოდარი უპასუხებდა. საბოლოოდ, ყველაფერი წარმატებით დასრულდა, უმაღლესმა სამთავრობო კომისიამ წარადგინა მასალები ენგურჰესის დამატებითი დაფინანსების გამოყოფისა და მშენებლობის შეუფერხებლად გაგრძელების თაობაზე. ბატონი ნოდარ ემუხვარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. სწორედ ასეთ ადამიანებზე იტყვიან, მან ერთგულად და კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი ვალი სამშობლოს წინაშეო.

* * *

ჩემი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვმუშაობდი, მათ შორის აბაშაში. აქ გავიცანი დამსახურებული ექიმ-გინეკოლოგი, ემუხვარების დიდი გვარის ღირსეული შვილი, დიდი ქალბატონი პოლინა ემუხვარი. მისი მეუღლე გახლდათ ვახტანგ გაბელაია, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი. ქალბატონმა პოლინამ თითქმის 50 წელი იმუშავა რიგითი გინეკოლოგიდან განყოფილების გამგის მოვალეობამდე. მან უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისმა გონივრულმა მოქმედებამ, ცოდნამ და გამოცდილებამ არაერთი ჩვილის სიცოცხლე იხსნა, მასთან მოდიოდნენ და რჩევა-დარიგებას იღებდნენ მეზობელი რაიონებიდანაც – სენაკიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან... კეთილშობილური გულისხმიერება, ადამიანებში აღფრთოვანებას იწვევდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, სამსახურიდან არ უშვებდნენ, ისიც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა მეან-გინეკოლოგად.

პოლინა ემუხვარის შესახებ ყოველთვის თბილი და ტკბილი მოგონებები აქვთ აბაშის სამედიცინო პერსონალს, მთავარ ექიმებს – ვაჟა ნანიტაშვილს, პაატა ქურდოვანიძეს, ნანა შენგელიას, სოსო თოფურიას, ასევე აბაშის რაიონის მთელ მოსახლეობას. მათ ყოველთვის ეიმედებოდათ რთული მდგომარეობის დროს ქალბატონი პოლინა ემუხვარი, იგი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად. იგი სწორედ ღირსეულად იქნა წარდგენილი ღირსების ორდენზე.

მადლიერმა აბაშელებმა, გამგეობამ და საკრებულომ ღირსეულად აღნიშნეს მისი დაბადების 80 წლის იუბილე, არჩეულ იქნა საპატიო მოქალაქედ.

საქართველოს ყველა კუთხიდან, პირველ რიგში, აფხაზეთიდან, აჭარიდან, თბილისიდან ჩამოვიდნენ მისი თაყვანისმცემლები, მეგობრები.

საინტერესო იყო ძირძველი ემუხვარების წარმომადგენლების შეხვედრა. აქ იყვნენ თავადი ემუხვარები, ჩიქოვანები, ანჩაბაძეები, შერვაშიძეები, მარშანიები, ჩქოტუები, მარღანიები, ისინი ერთმანეთის ბიძაშვილები, მამიდაშვილები არიან, დღესაც ძიძიშვილობა აერთიანებთ.

საინტერესო იყო აბაშის სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით ქალბატონ ზაირა პირტახიას გამოსვლა, რომელიც იხსენებდა შექმნილ მწვავე მომენტებს ავადმყოფის გადასარჩენად რომ ღებულობდნენ. თუ ქალბატონი პოლინა ადგილზე იყო, ყველანი იმედიანად და მშვიდად იყვნენ. ბოლოს ქალბატონმა პოლინამ თავისი ტრადიციული თავაზიანობით, ჩვეული დარბაისლობით მადლობა გადაუხადა რაიონის საზოგადოებას და წარმატებები უსურვა მთელ მოსახლეობას. შეხვედრის შემდეგ გაიმართა ხალხმრავალი საიუბილეო სუფრა მის ტრადიციულ ოჯახში, რასაც ადათწესების დაცვით უძღვებოდა ქალბატონი პოლინას ვაჟი, ამჟამად აბაშის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, ბატონი ვახტანგ გაბელაია.

ამასთან ერთად, არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ემუხვარების სხვა ღირსეული ადამიანები, ვისთანაც ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე დიდი ხნის ურთიერთობები მაკავშირებს. მათ სათავეში მინდა ჩავუყენო საქართველოში და მის გარეთ ცნობილი პიროვნება, მეორე ნოდარ ემუხვარი – აღიარებული კარდიოლოგი, პროფესორი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც უამრავი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა და სიცოცხლე გაუხანგრძლივა. სანიმუშოა მისი ინიციატივით აშენებული ჯანმრთელობის დიდი კომპლექსი, მაღალპროფესიონალი კადრებითა და ტექნიკით აღჭურვილი. იგი დიდი მამულიშვილის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მიერ შექმნილ ცენტრთან ერთად უცხოელ მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს.

დღეს ღირსეულად მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში ფინანსისტი გივი ემუხვარი, ისტორიკოსი მერაბ ემუხვარი, ტრანსპორტის ინჟინერი გურამ ემუხვარი. ემუხვართა წინაპრებზე, მათ ისტორიულ მისიაზე ჩვენი ქვეყნის წინაშე ქართველ და აფხაზთა წარუშლელ მეგობრობაზე განუსაზღვრელად შეიძლება ვილაპარაკოთ, რასაც მომავალი თაობები უფრო ნათლად დაინახავენ, მათ გვიჩვენეს ვაჟკაცობისა და გამბედაობის მაგალითები. სწორედ ამან ათქმევინა დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას თავის ისტორიულ რომანში „მთვარის მოტაცება“, როცა თარაშ ემუხვარს ეკითხებიან – „გვითხარი, ვისი გვარისა ხარ“, ის მედგრად უპასუხებს, – „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია“, – ასე ამაყად იარეს ემუხვარებმა და ასე აგრძელებენ ცხოვრებას დღემდე.

გურამ გუნავა
აბაშის საპატიო მოქალაქე

P. S.

მასალების მოძიებაში დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ბატონ **ზურაბ ჩიქოვანს, ვახტანგ გაბელაიას** და გაზეთ „აბაშის მაცნეს“ რედაქტორს, ქალბატონ **ვერიკო ჯიბლაძეს.**

გ. გ.

◎ წინ, საქართველოვ!

ნადავლი დიდი პრიზიდან


ნუგზარ წურწუმია

დორტმუნდში დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა „დიდი პრიზი“, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა 4 მედალი მოიპოვა: 2-2 „ოქრო“ და „ბრინჯაო“. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ხობელი ნუგზარ წურწუმია (55) და წყალტუბოელი მძიმეწონოსანი იაკობ ქავჯაია, ხოლო ოზურგეთელი ლევან ქავჟარაძე (67) და სამტრედიელი გიორგი მელია (97) მესამე ადგილებს დასჯერდნენ. ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში უნგრეთისა და გერმანიის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

იაკობ ქავჯაია

55 კილოში შეჯიბრი შერეული — წრიულისა და პლეი-ოფის ნაზავი სისტემით ჩატარდა, რადგან სულ 6 მონაწილე იყო. წურწუმიამ პირველ შეხვედრაში თურქ დოღუზ აიაზცის აჯობა — 9:0, შემდეგ უნგრელი იოჟეფ ანდრაშიც წმინდად დაამარცხა — 8:0, ნახევარფინალში გერმანელ ფაბიან შმიდტს 10:7 მოუგო, გადამწყვეტ პაექრობაში კი ისევ დოღუზ აიაზცი დაჯაბნა -10:3.

ქავჯაიამ ზედიზედ 4 შეხვედრაში მიაღწია წარმატებას: დაამარცხა ფინელი ტუომას ლაჰტი — 6:0, უნგრელი ბალინტ ლამი — 3:2, ესტონელთა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰეიკი ნაბი — 3:2 და ლიეტუველი მანტას კნისტაუტასი — 2:1.

ქავჟარაძემ ამჯერად 67 კილოში იჭიდავა. ჯერ ფინელი მიკკო პელტოკანგასი ჩამოიშორა გზიდან — 6:3, მერე უკრაინელ სერჰი კოზუბს 8:4 მოუგო, მეოთხედფინალში შვედი დანიელო დი ფეოლა 4:3 დაამარცხა. ნახევარფინალური ორთაბრძოლა პოლონელთა მომავალ ჩემპიონ გევორგ საჰაკიანთან 0:9 წააგო, ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობაში ნორვეგიელ მორტენ ტორესენს სძლია — 9:0.

მელიამაც ნახევარფინალამდე მიაღწია: შესარჩევში 3:3-ზე დამატებითი მაჩვენებლებით მოუგო ფინელ არვი სავოლაინენს, მერე მის გზას გერმანელი ფელიქს რადინგერი — 3:1 და პოლონელი მარცინ ოლეინიუკი გაუყენა — 8:0, ნახევარფინალში უნგრელ ჟოლტ ტოროკთან მინიმალური სხვაობით — 8:9 დამარცხდა, დამამშვიდებლის ფინალში კი ჯავიდ ჰამზათაუს (ბელარუსი) 8:7 აჯობა.

ლეძსო ცინცაძე

◎ პატივი

ვარსკვლავი ვარსკვლავთა შორის

30 აგვისტოს სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში მსოფლიო დონის კალათბურთის ვარსკვლავები შეიკრიბებიან. ამხანაგურ, გასაცილებელ მატჩში ერთმანეთს ცნობილი სლოვენიელი კალათბურთელების — სანი ბეჩიროვიჩისა და ბოსტიან ნახბარის გუნდები დაუპირისპირდებიან. ეს ვარსკვლავები კალათბურთიდან გასაცილებელ მატჩს თამაშობენ და მიწვეულ ვარსკვლავთა შორის იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, ამჟამად საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა.

სანი ბეჩიროვიჩი და ბოსტიან ნახბარი სლოვენიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეები არიან და მათ კალათბურთიდან წასვლა ამ გზით გადაწყვიტეს. ორივე მათგანმა საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბა, რომლებშიც მსოფლიო დონის მოქმედი და ვეტერანი კალათბურთელები არიან. ვლადიმერ ბოისა სანი ბეჩიროვიჩის გუნდში იქნება, სადაც მასთან ერთად ითამაშებენ დიმიტრის დიამანტიდისი, შარუნას იასიკევიჩუსი, მარკო ბელინელი, ვლადო ილიევსკი, პერო ანტიჩი. ყველა მოთამაშე, როგორც სანი ბეჩიროვიჩის, ისე ბოსტიან ნახბარის გუნდიდან მოქმედი ან წარსულის ვარსკვლავები არიან. მწვრთნელებს შორის ევროპის ყველაზე ტიტულოვანი ჟელკო ობრადოვიჩი, სერბეთის ნაკრების მოქმედი თავკაცი ალექსანდრე ჯორჯევიჩი, ლეგენდარული ზმაგო საგადინი, დიმიტრის იტუდისი და სხვა სპეციალისტები არიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ამ დღეს ვაკეში

ტელევიზიანი ჩვენებურად

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბულგარული „ლუდოგორეცის“ დღევანდელ შეხვედრასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც წერილშია ნათქვამი, „ტორპედოს“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმება ამ დროისთვის მიღწეული არაა. გთავაზობთ განცხადებას უცვლელად:

„როგორც მოგეხსენებათ, მორიგი წარმატების შედეგად ქუთაისის „ტორპედო“ უეფა-ს ევროპის ლიგის პლეი ოფში გადავიდა და მისი მეტოქე ბულგარეთის საფეხბურთო კლუბი „ლუდოგორეცი“ იქნება. სამწუხაროდ, მოვლენები ისე ვითარდება, რომ ამჟამადაც შესაძლოა ისეთივე გაუგებრობის წინაშე აღმოვჩნდეთ, როგორც ალბანურ კლუბ „კუკეშთან“ მატჩის დროს, როდესაც ვერ მოხერხდა ალბანეთიდან მატჩის ტრანსლირება. ამის გამო გულშემატკივართა ერთი ნაწილი, რომელიც არ იცნობდა საქმის ვითარებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ გამოთქვამდა უკმაყოფილებას.

რეალურად კი საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოდან საკუთარი მატჩების ტრანსლირების უფლებას ფლობს ქუთაისის „ტორპედო“, რომელმაც „კუკეშთან“ მატჩის საზღვარგარეთ ჩვენების უფლება მიჰყიდა უცხოურ საშუამავლო კომპანიას, რის გამოც საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ შეძლო ალბანეთის საზოგადოებრივ მაუწყებელთან მატჩების ტრანსლირების გაცვლა. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ახლაც მზად არის, სრულიად უსასყიდლოდ გადაიღოს და გადასცეს „ტორპედოს“ საშინაო მატჩი, ასევე გაუცვალოს სიგნალი ბულგარეთის მხარეს, თუმცა, ამისთვის საჭიროა ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობის თანხმობა.

ამ მიზნით 17 აგვისტოდან დღემდე ჩვენ არაერთგზის დავუკავშირდით ქუთაისის „ტორპედოს“ მენეჯმენტს და ვთხოვდით, ეცნობებინათ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, თუმცა, ამ დრომდე კლუბი განიხილავს სხვადასხვა წინადადებას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ყოველთვის საკუთარ მოვალეობად მიიჩნევდა მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ტრანსლირებას და მომავალშიც ასე მოხდება, მაგრამ თუ რომელიმე სუბიექტი გადაწყვეტს ტრანსლირების უფლებების კომერციული მიზნით გამოყენებას და ამ უფლებების მიყიდვას შუამავალი ფირმებისთვის, ჩვენი თხოვნაა, ამის შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას.

დაბოლოს, რეპორტაჟების გაცვლის წინადადებით ჩვენ ასევე მივმართეთ ბულგარეთის მხარეს და მივიღეთ თანხმობა მატჩების ტრანსლაციის გაცვლის შესახებ, თუმცა, ქართული კლუბის თანხმობის გარეშე მოლაპარაკება შეუძლებელია. პირველი არხი მზად იყო და არის თანამშრომლობისთვის მხოლოდ ლიცენზიის მფლობელ ორგანიზაციასთან და არა მესამე (გადამყიდველ) კომპანიასთან. პირველი არხი ასევე მზად არის, ყოველთვის უსასყიდლოდ მოემსახუროს საქართველოს გუნდებს და მათი მონაწილეობით გამართული ღონისძიებები უჩვენოს გულშემატკივარს.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს არც მატჩის კომერციალიზაცია და არც სხვა ფინანსური მოლაპარაკებები, რომელსაც დამოუკიდებლად აწარმოებს კლუბი. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად და გულშემატკივრის ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენ ოპერატიულად მოგაწვდით ინფორმაციას ნებისმიერი მოლაპარაკებების შესახებ და ვიმედოვნებთ, რომ გულშემატკივარი ორივე თამაშს იხილავს საზოგადოებრივი მაუწყებლის ან სხვა ქართული მედიაარხის საშუალებით (იმ შემთხვევაში, თუ „ტორპედო“ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს). ამჟამად კი, როცა მატჩამდე საათები რჩება, ტრანსლაციის უფლების გადმოცემაზე ჩვენ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ „ტორპედოსა“ და „ლუდოგორეცის“ შეხვედრა დღეს თბილისში, „მიხეილ მესხზე“ 20 საათზე გაიმართება.

* * *

ევროპა ლიგის პლეი-ოფის მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბულგარულ „ლუდოგორეცს“ შორის ქართულ ტელესივრცეში გადაიცემა. როგორც „სილკ ტვ“-ის ფეისბუქ-გვერდი გვამცნობს, შეხვედრის პირდაპირ ტრანსლაციას თავად უზრუნველყოფენ.

თამაში „სილკ უნივერსალის“ პირდაპირ ეთერში დღეს 20-სთ-იდან გადაიცემა. ამრიგად, „ტორპედოს“ მატჩს ქართველი გულშემატკივრები პირდაპირ ეთერში ნახავენ. აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ არხთან შეთანხმება თამაშის ტრანსლირებასთან დაკავშირებით ვერ შედგა.

გიორგი ფოთაძე

◎ არის რეცეპტი!

გვახსოვდეს კისლოვოდსკი!

სპორტის ისტორიას მრავალი ისეთი შემთხვევა ახსოვს, როცა მწვრთნელი დილემის წინაშე დამდგარა — ერთ პოზიციაზე ან წონაში მოასპარეზე რამდენიმე ვარსკვლავს შორის უპირატესობა რომლისთვის მიენიჭებინა.

ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავიდოდეთ, გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი ყველაზე პოპულარული სახეობიდან — ფეხბურთიდან, როდესაც ერთი შეხედვით დიდი ფუფუნება თავსატეხად ქცეულა: ნეტცერი — ოვერატი (გერმანია), დელ პიერო — ტოტი (იტალია), რომლებსაც ჯანსაღი კონკურენციის ნაცვლად გულშემატკივართა ნაწილისთვის სკანდალური არჩევანი მოჰყვა და დავა — რამდენად ობიექტურად გადაწყდა საკითხი — დღესაც გრძელდება.



არანაკლები აჟიოტაჟი ახლდა თან 1988 წლის სეულის ოლიმპიადის წინ საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მძიმე წონაში განვითარებულ მოვლენებს, რადგან კორეის საგზურისთვის ერთმანეთს მართლაც ღირსეული ფალავნები — დავით გობეჯიშვილი და ასლან ხადარცევი ეცილებოდნენ.

მაშინ ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საკავშირო სპორტის მამებს უძლიერესის გამოსავლენად გადამწყვეტი შერკინების დანიშვნა ვითომ ნეიტრალურ ტერიტორიაზე — კისლოვოდსკში მოუხდათ, სადაც თანამემამულის მხარდასაჭერად ონიდან რამდენიმემანქანიანი დელეგაცია გაემგზავრა. ალბათ, გახსოვთ არამარტო რუსული საკურორტო ქალაქის, არამედ ოლიმპიური სეულის ხალიჩაზე ხურუთელი გოლიათის მიერ დანთებული ცეცხლი და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამაყად ასვლა. ახლახან იმ ისტორიული გამარჯვებიდან 30 წელი შესრულდა.

ვსარგებლობთ შესაძლებლობით და საიუბილეო თარიღს ვულოცავთ პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ რაჭველ ოლიმპიურ ჩემპიონ დავით გობეჯიშვილს, მის პირველ მწვრთნელს, უბერებელ შურა მაისურაძესა და ლეგენდარულ მამულიშვილ გურამ საღარაძეს, რომელმაც ლომის წილი დაიდო შეგირდის დაოსტატებაში.

და აი, მივადექით აღნიშნული წერილის დაწერის მთავარ მიზეზს — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებში არეულ მონასტერს. დიახ, სხვაგვარად ძნელია მონათლო ის სიტუაცია, რომელიც ჩვენთვის ერთ-ერთ სადარბაზო ბარათადა მიჩნეულ სპორტის სახეობაში ამას წინათ შეიქმნა და ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი მხოლოდ მას შემდეგ დაემშვიდობა სავარძელს, რაც გუნდის ყოჩებმა პროტესტის ნიშნად ვარჯიში შეწყვიტეს და ტატამის ნაცვლად მხარეებმა პოზიცია ქუჩაში გამოხატეს. როგორც იცით, იმ მღელვარე დღეებში ტყვიაც გავარდა და სისხლიც დაიღვარა, თუმცა, როგორც ირკვევა, ქართულ ძიუდოში წესრიგის დასამყარებლად ეს საკმარისი არ ყოფილა და აქამდე თავკაცი არც ფედერაციას ჰყავს და არც ეროვნულ ნაკრებს, რომელიც 20-27 სექტემბერს ბაქოში მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გამოვიდეს.

რადგან აზერბაიჯანულ ფორუმზე რეგისტრაციის ვადა 30 აგვისტოს, ანუ ერთ კვირაში იწურება, საგანგაშოდ გვესახება ცაიტნოტში ჩავარდნილი ჩვენი გუნდის მდგომარეობა, როცა მართლაც ლიდერებს — ავთანდილ ჭრიკიშვილსა და ბექა ღვინიაშვილს შორის წამოჭრილი კონკურენცია გასცდა სარბიელის ფარგლებს და პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა.

ვიმედოვნებთ, „ჯვაროსანთა“ სამწვრთნელო შტაბი (გურამ მოდებაძე, ამირან ტოტიკაშვილი, მინდია ბოდაველი, გიორგი ბაინდუროვი და ნოდარ მეტრეველი) გაითვალისწინებს უკვე გასული საუკუნის კისლოვოდსკის პრეცედენტს და უძლიერესის გამოსავლენად გადამწყვეტ ბრძოლას სამშობლოშივე დანიშნავს — მადლობა ღმერთს, უკვე ის დრო აღარაა, როცა ანალოგიური პრობლემის გადასაჭრელად ცენტრის ნება და დირექტივა იყო საჭირო.

გია პლატონიშვილი

◎ დაუვიწყარი სახელები

სიმონ საყვარელიძე – ფარიკაობის ფუძემდებელი ზესტაფონში

საქართველოში ფარიკაობას საუკუნენახევრის ისტორია აქვს. პირველად სასწავლო ჯგუფები მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. იგი 1887 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგმა, ავსტრიელმა რუდოლფ ვაისმა დანერგა. ქართველი მოფარიკავეები დიდ მასშტაბურ ტურნირებში 1944 წლიდან მონაწილეობენ. 1950 წლიდან ფარიკაობით დაინტერესებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ახალი ფარიკაობის კერები გაჩნდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავსა და ზესტაფონში. ფარიკაობის წრე ისე გაფართოვდა, რომ ოსტატობის ნორმატივებს ყოველწლიურად 12-15 სპორტსმენი აბარებდა, მათგან საუკეთესოებს კი საბჭოთა კავშირის ნაკრებში იწვევდნენ.



როგორც სპორტის ყველა სახეობას, ფარიკაობასაც ჰყავდა თავისი ვარსკვლავები, მაგრამ წარმატებულ ოსტატებს შორის ბრწყინავდნენ მხოლოდ ისინი, ვინც მომადლებული სპორტული ნიჭის გარდა, ჩინებული პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსებითაც იყვნენ შემკობილი. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ზესტაფონში ფარიკაობის ფუძემდებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ლეგენდარული მწვრთნელი სიმონ კონსტანტინეს ძე საყვარელიძე.

ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრებისთანავე მან სწავლა განაგრძო ოდესის კადეტთა კორპუსში, რომლის დამთავრებისთანავე მიენიჭა სამხედრო წოდება. სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, 1938 წელს თანამოაზრეებთან ერთად გადაასახლეს და სასჯელს იხდიდა ციმბირის ე. წ. „კოლიმას“ საკონცენტრაციო ბანაკში, 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ სიკვდილს სასწაულით გადარჩენილი, ჯანმრთელობაშელახული სიმონ საყვარელიძე 1947 წელს საცხოვრებლად დაბრუნდა ზესტაფონში. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მან ზესტაფონში ფარიკაობის ჯგუფი ჩამოაყალიბა. ფარიკაობისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდებოდა. მისმა თავდადებულმა შრომამ და საქმის სიყვარულმა შედეგი გამოიღო. ფარიკაობის სექციაში მსურველთა რიცხვმა 500 მოსწავლეს მიაღწია. საქმის მოყვარულმა მწვრთნელმა საკუთარი ხარჯებით შეიძინა რამდენიმე მუზარადი, ფორმების კომპლექტი და იარაღები. დანარჩენი მოსწავლეები ბატონ სიმონის მიერ გამოთლილი თხილისა და ბროწეულის ჯოხებით ვარჯიშობდნენ. სიძნელეების დაძლევაში მას მხარში ამოუდგნენ ფიზკულტურელები და სამეურნეო მუშაკები: შალვა და შოთა გეწაძეები, ფრიდონ იშხნელი, ფრიდონ მოდებაძე, კაკალო კვესიტაძე, შურა განუგრავა, პროკოფი ლეკვეიშვილი, კობა ბაზაძე, ოთარ შამათავა, თორნიკე ბერეკაშვილი, ოთარ სამყურაშვილი, ნოდარ კაკაურიძე და დავით ღავთაძე.

შედეგმაც არ დააყოვნა, 1949 წლის ივნისში ზესტაფონის მოფარიკავეთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ქალთა შორის ჟუჟუნა დოღონაძე ჩემპიონი გახდა. ეთერ მუმლაძემ კი მეორე ადგილი დაიკავა. ნათელა ღუღუნიშვილმა ჩემპიონის ტიტულისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში იმ დროის საუკეთესო მოფარიკავე ჯულიეტა ზენაიშვილი დაამარცხა.

ზესტაფონელი მოფარიკავეების წარმატებები მხედველობიდან არ გამორჩენით რესპუბლიკის წამყვან სპეციალისტებს. ჩვენს ქალაქს ხშირად სტუმრობდნენ აღიარებული მწვრთნელები: ლევ გოლოვნია და აკაკი მეიფარიანი. ბატონმა სიმონმა მოწვეული სტუმრებისთვის და ადგილობრივი სპორტული საზოგადოებისთვის ჩაატარა საწვრთნელი საჩვენებელი მეცადინეობა, რომელიც უმაღლეს დონეზე შეფასდა. ზესტაფონელ მოფარიკავეებს იმდენად ანგარიშგასაწევი გუნდი ჰყავდა, რომ 1951 წლის აგვისტოში საკავშირო ფარიკაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატზე ცალკე გუნდით იყვნენ წარმოდგენილი. ამ ტურნირზე ჩემპიონები გახდნენ ჯონდო მაჭავარიანი და ლიანა შეყრილაძე.

1958 წელს საკავშირო ფარიკაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით სიმონ საყვარელიძეს უფლება ეძლევა უმცროსი ასაკის ექსპერიმენტულ ჯგუფთან მუშაობისა. ეს შესაძლებლობა იმ დროისთვის საბჭოთა კავშირის სამ ქალაქში – მოსკოვში, კიევსა და ლენინგრადში იყო დანერგილი. ეს, რა თქმა უნდა, სიმონ საყვარელიძის აღიარება გახლდათ.

1959 წელს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, სიმონ საყვარელიძეს მიენიჭა სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. 1961 წელს ზესტაფონში საზეიმოდ გაიხსნა ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლა, რომლის მშენებლობა დაკავშირებული იყო ამაგდარი მწვრთნელის სახელთან. ახლად აშენებული სკოლის კედლებში დაიდო ბინა ფარიკაობის სასწავლო ჯგუფებმა. მან სამუშაოდ მოიწვია თავისი ყოფილი შეგირდები: ომარ აბაშიძე, გურამ ჟღენტი და სულიკო ცხადაძე. 1963 წელს ბატონი სიმონი ჯანმრთელობის გაუარესობის გამო დამსახურებულ პენსიაში გადის. მოძრაობაშეზღუდულს ყავარჯნით ხელში, ფარიკაობისა და მოსწავლეებისათვის არ უღალატია. მისი ბინა თავისებურ ფარიკაობის დარბაზად გადაიქცა. იგი ამაყობდა თავისი შეგირდების წარმატებით.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა, ვეტერანი ფარიკაობის სპეციალისტებისა და სპორტული ინტელიგენციის მოთხოვნათა საფუძველზე მის მიერ დაარსებულ სასპორტო სკოლას 2011 წელს ლეგენდარული მწვრთნელის სიმონ საყვარელიძის სახელი მიენიჭა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ფარიკაობის მდიდარმა ტრადიციებმა თანდათან დათმო პოზიციები. მხოლოდ 2007 წლიდან აღდგა ფარიკაობის სპეციალისტის დაფინანსება, რაშიც დიდი დამსახურება „ქართუ ბანკს“ მოუძღვის. 2014 წლის ოქტომბერში ფარიკაობის ფედერაციის თავკაცების და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით დაფუძნდა სიმონ საყვარელიძის სახელობის თასის გათამაშება.

დღეს ზესტაფონის საფარიკაო ჯგუფებს სათავეში უდგას ფარიკაობაზე უზომოდ შეყვარებული სამწვრთნელო ჯგუფი (მთავარი მწვრთნელი ამირან ჭანტურიძე, მწვრთნელები ნანა ფხალაძე და ვახტანგ ბუხნიკაშვილი). ახალგაზრდა ზესტაფონელი მოფარიკავეები წარმატებით ასპარეზობენ ქვეყნის ფარიკაობის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ყველა სახის ტურნირში, გამოჩნდნენ წარმატებული სპორტსმენებიც – ნინი ნიქაბაძე, ანა მაჩიტიძე, ნიტა კახნიაშვილი, ლიზი შეყილაძე, ნინო კიკნაველიძე გიორგი გაჩეჩილაძე, გიორგი და კესო ფრანგიშვილები და საბა ბიწაძე.

სასიხარულოა, რომ სიმონ საყვარელიძის სახელს დავიწყება არ უწერია..

ბეჟან ჩხეიძე
ზესტაფონი
555-41-97-33

ლეღვის ნახარშს არ ეშვებიან

12 წლის მოზარდმა ლეღვის ნახარშით მე-2 ხარისხის დამწვრობა მიიღო.

ექიმების განცხადებით, 12 წლის გოგონა იმერეთის რეგიონიდან დამწვრობის ცენტრში რეანიმობილით გვიან ღამით შეიყვანეს. გოგონას სხეულის 40% აქვს დამწვარი. კერძოდ, გულ-მკერდი, მუცელი და ქვემო კიდურები. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

სანთელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საავტომობილო მრეწველობის ღვაწლმოსილი, დამსახურებული ინჟინრის, მეცნიერისა და გამომგონებლის, პროფესორ

გიორგი ჯოხაძის

გარდაცვალებას და ღრმა მწუხარებას უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს. გამოსვენება 23 VIII, 15 სთ. ფ. თავაძის ქ. 3

საქართველოში დაბადებული „რუსი ტარზანი“ ავსტრალიაში გარდაიცვალა



მაიკლ (მიხეილ) ფომენკო, რომელმაც ავსტრალიის ჯუნგლებში 60 წელი გაატარა, 89 წლის ასაკში კვინსლენდის შტატში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია Daily Mail-ს მისმა დამ ინსესამ დაუდასტურა. გავრცელებული ინფორმაციით, „ტარზანი“ 1930 წელს საქართველოში, თავადის ასულ ელისაბედ მაჩაბლისა და სპორტსმენ დანილა ფომენკოს ოჯახში დაიბადა.

იმავე წელს ოჯახი ჩინეთში გაიქცა და იაპონიის ინტერვენციის შემდეგ სიდნეიში გადასახლდა. ავსტრალიაში ფომენკოს წარმატებულ სპორტულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, 1956 წელს მელბურნში ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის წარადგინეს, მაგრამ ფომენკო ავსტრალიის ტყეებში საცხოვრებლად გადავიდა, სადაც ნადირობით ირჩენდა თავს. უჩვეულო ცხოვრების წესის გამო მას „ტარზანი“ შეარქვეს. ის პრესის ყურადღებას იქცევდა. ფომენკო 1960 წელს ფსიქიკურად ავადმყოფად შერაცხეს და იძულებით მკურნალობდნენ, მათ შორის ელექტროშოკის მეთოდითაც. ფსიქიატრიულიდან გამოსვლის შემდეგ „ტარზანი“ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა. ველურ ბუნებაში ის 2012 წლამდე ცხოვრობდა, მერე მოხუცთა თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც 17 აგვისტოს გარდაიცვალა.

დააკავეს თაღლითობის ფაქტზე

2018 წლის აპრილიდან ივნისის თვემდე პერიოდში, მოქალაქე პ.ა.-მ, ერთ-ერთი ბრალდებულის ოჯახის წევრები დაარწმუნა, თითქოს ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებთან და დაჰპირდა, რომ 13 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდებოდა და პატიმრობიდან გათავისუფლდებოდა.

დაზარალებულები პ.ა.-ს მოთხოვნას დათანხმდნენ და თანხა სრულად გადაუხადეს. გენერალური ინსპექციის მიერ დაკავებული პირი აღნიშნულ თანხას მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა. დაკავებულს ბრალდება წარედგინება კანონით დადგენილ ვადებში და პროკურატურა სასამართლოს მიმართავს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნით.

– მივმართავთ საზოგადოებას, რომ მსგავსი უკანონო ფაქტების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციას, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

23-25 აგვისტოს თბილისში ხანმოკლე წვიმას პროგნოზირებენ



23-25 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში, მათ შორის, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, დღის საათებში თბილი და უმეტესად უნალექო ამინდი იქნება, ხოლო ღამისა და საღამოს საათებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა +30, +35 გრადუსამდე მოიმატებს, სანაპირო რაიონებში კი +28, +30 გრადუსის ფარგლებში შენარჩუნდება.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან იწვიმებს, შესაძლებელია ელჭექი და სეტყვა. ჰაერის ტემპერატურა +27, +32 გრადუსის ფარგლებში დაფიქსირდება. ქ. თბილისში შესაძლოა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით აღინიშნოს. ჰაერის ტემპერატურა +30, +32 გრადუსია მოსალოდნელი.

◎ ერიჰა!

შორეული მომავლის იდეალური ქალი:

ეს რა ქათმისფეხება კენგურუა, ღმერთო?!

პლასტიკური ქირურგიის, ზოგადად, თანამედროვე მედიცინის წარმატებების წყალობით, დღესდღეობით უკვე ვიცით, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს იდეალური ქალი. ცოტა ხნის წინათ კი ბრისტოლის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ანატომიისა და ანთროპოლოგიის პროფესორმა **ალისა რობერტსმა** ასეთი „სრულყოფილი არსების“ იერი საკუთარ თავზე „მოირგო“ და ქვეყანასაც გააცნო.

საგულისხმოა, რომ ამ ერთობ არაორდინარული ნაბიჯის გადადგმისკენ მას ლონდონის მეცნიერების მუზეუმის თანამშრომლებმა უბიძგეს, რომლებმაც მეცნიერს მეტად პროვოკაციული კითხვა დაუსვეს: „შეუძლია თუ არა მეცნიერებას სრულქმნილად გარდაგქმნათ?“ საქმე ისაა, რომ დოქტორი რობერტსი ევოლუციის აღიარებული სპეციალისტია, რომლის ადამიანის სხეულის გარემოსთან შეგუების უძველესი ისტორიის წიგნი საქვეყნოდაა ცნობილი. ჰოდა, მანაც უპასუხა, თუ რა მოუვიდოდა ადამიანის სხეულს, იგი თავისით კი არა, არამედ ცხოველთა სამყაროში უკვე მიგნებული ყველაზე ეფექტიანი „საინჟინრო“ სიახლეების შესატყვისად რომ განვითარებულიყო.

— მე გარკვეული ოფციების გამოყენების წინადადება წამოვაყენე, რომლებიც, ჩემი აზრით, დიდად გააადვილებდა „ქალურ ხვედრს“, — გარკვეული სიკეკლუცით განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ერთი ასეთი ოფცია, რაც უცბად თვალში საცემია, არის **კენგურუს ჩანთა,** რომელიც დოქტორ რობერტსმა ქალის ხვედრის გასაიოლებლად „უბოძა“.

მისი აზრით, სრულყოფილ ქალს **ფეხების** ქვედა ნაწილი ქათმისა უნდა ჰქონდეს და უკან იხრებოდეს, რამაც მისი გადაადგილების სიჩქარე საათში 50 კილომეტრამდე უნდა გაზარდოს.

ყურები ამ მანდილოსანს **ღამურისა** ექნებოდა და, ასაკის მატებასთან ერთად, მგრძნობიარობას არ დაკარგავდა.

კანი კი მას ბაყაყისა იმიტომ ექნებოდა, რომ ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დაიცავდა, ამდენად კიბო ან სიბერე მისთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა.

თვალები ასეთ ქალს რვაფეხისა უნდა ჰქონოდა — დიდი და საუცხოოდ მხედველი.

მკერდის არეში ცვლილებების შესახებ პროფესორს კი არაფერი უთქვამს, მაგრამ იმ მოდელის იერით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ქალბატონ რობერტსისთვის მისივე ასლის სახით **მხატვარმა სკოტ იტონმა** და **სპეცეფექტების სპეციალისტმა სანჯიტ ფრაბჰაკერმა** (ფოტოზე მარჯვნივ) დაამზადეს, „იდეალს“ აშკარად „მინი-მკერდი“ აქვს, რომელიც მხოლოდ ბავშვის გამოსაკვებად თუ გამოდგება — მამაკაცთა აღფრთოვანებაში მოყვანაზე აქ ფიქრიც კი ზედმეტია!

დანარჩენი ოფციები კი შინაგანია. კერძოდ, დოქტორი რობერტსი წინადადებას აყენებს, რომ ქალბატონები საჰაერო ბუშტებით აღიჭურვონ, დაახლოებით ისეთებით, ფრინველებს რომ აქვთ. ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანის სასუნთქი სისტემა ნახშიროჟანგის მთლიანად ამოსუნთქვის შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა საჰაერო ბუშტების მეშვეობით ამის გაკეთება სავსებით შესაძლებელია.

იდეალური ქალის სისხლძარღვთა სისტემა უფრო ძლიერ გულთანაა შეერთებული, მასში უფრო მეტი არტერიაა, რაც ინფარქტის თავიდან აცილების საშუალებას შექმნის.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ „თვით სრულყოფის განსახიერებას“ კაცი მიმზიდველს ნამდვილად ვერ უწოდებს — პირველ ხილვაზე მან თავად მისი „შემოქმედიც“ კი დაიფრთხო. „როცა „იგი“ დავინახე, უნებლიეთ შევკივლე!“ — აღიარა მოგვიანებით სწავლულმა ქალბატონმა, თუმცა ისიც დააყოლა, რომ „ყველა ცვლილება ქალბატონებს ნამდვილად მოუხდებოდა“.

რა არის ყოველივე ეს — რაიმე „ჭკუასთან ახლოს“ მდგომი კვლევა თუ სამეცნიერო ხუმრობა? გადაჭრით რაიმეს თქმა სპეციალისტებს უჭირთ, თუმცა არ გამორიცხავენ იმის ალბათობას, რომ დედამიწაზე ცხოვრების პირობები ისე შეიცვალოს, დღესდღეობით ჩვეული იერის ქალებს მასთან შეგუება გაუჭირდეთ, „მოდერნიზების“ გეგმა კი წინდაწინვეა შემუშავებული!

ჰოდა, მერე მოუწევთ მამაკაცებს უფრო სრულყოფილი ქალბატონების — ჩანთოსნების, ყურცქვიტებისა და ქათმისფეხებების — შეგუება.

ფუი, ეშმაკს, ფუი, ფუი!

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

შეუდრეკელი მეძავები

დინჯი და საქმიანი გერმანელები მათი ქვეყნის უმთავრეს საფეხბურთო გათამაშებას — ბუნდესლიგას და, შესაბამისად, მეორე ბუნდესლიგასაც ევროპის სხვა მოწინავე ქვეყნებზე გვიან იწყებენ ხოლმე და გამონაკლისი არც 2018-2019 წლების სეზონია. თუმცა, გერმანიის სიდიდით მეორე ქალაქ ჰამბურგში საფეხბურთო სეზონისთვის მზადება უკვე დასრულებულია და, რაც არ უნდა გასაკვირად ჟღერდეს, კლუბის მთავარი მოტივატორები წელს ადგილობრივი მეძავები არიან.

ჰამბურგი მთელს გერმანიაში მეძავთა დიდებულ ნავთსაყუდლადაა ცნიბილი და მთელი ორი დიდი ქუჩა ამ სასიქადულო პროფესიის წარმომადგენლებს აქვთ დაკავებული. შესაბამისად, იქაურ მეძავებს ძლიერი და მრავლისშემძლე პროფკავშირიც აქვთ და სწორედ ამ პროფკავშირმა გააკეთა განცხადება, რომ თუკი შარშან ბუნდესლიგიდან გავარდნილი მათი ქალაქის არცთუ საამაყო გუნდი — „ჰამბურგი“ წელს შეძლებს და კვლავ დაუბრუნდება ბუნდესლიგას, მეძავები მათი ხელობისათვის შესაბამის უტეხ სიტყვას დებენ, რომ მეორე ბუნდესლიგის დასრულებისთანავე კლუბის უკლებლივ ყველა წევრს მთელი კვირის მანძილზე უფასოდ მოემსახურებიან.

როგორც იცით „ჰამბურგმა“ შარშან უსაშინლესად იასპარეზა და ბუნდესლიგის გათამაშება ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა. ამ კლუბის იმედი წელს რომ გქონდეს, ჭეშმარიტად უშიშარი და შეუდრეკელი ადამიანი უნდა იყო. შეუდრეკლობა ჰამბურგელ სიძვის დიაცებს ჰაი ჰაი რომ არ ესწავლებათ!

როსტომ რაჭველიშვილი

ლეგენდარული THE CHEMICAL BROTHERS რუსთავს ეწვევა

1 სექტემბერს, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე ქართველი მსმენელის წინაშე 4 გრემის ჯილდოს მფლობელი ბრიტანული დუეტი The Chemical Brothers წარდგება.

ტომ როულენდსისა და ედ საიმონსისგან შემდგარი ინგლისური დუეტი ქართველ მსმენელს ტრადიციულად, ვიზუალური ეფექტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, დაუვიწყარ სანახაობას შესთავაზებს. ღონისძიების წარმდგენები Eastern Promotions და თიბისი სტატუსი არიან.

ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია tkt.ge-ზე. თიბისის სტატუსის მომხმარებლები ბილეთების შეძენისას ფასდაკლებით ისარგებლებენ. The Chemical Brothers-ის მსმენელისთვის სპეციალური აქცია დაიწყო თიბისისი თი ბოტმაც. ის, ვინც 1 სექტემბრამდე თი ბოტის შეთავაზებით ისარგებლებს, The Chemical Brothers-ის კონცერტის ბილეთების შეძენას 44%-იანი ფასდაკლებით შეძლებს.

ინგლისური ელექტრონული მუსიკალური ჯგუფი „The Chemical Brothers“, რომელიც მსოფლიოში ცნობილია მაღალი ხარისხის საკონცერტო სეტებით, საქართველოში ბოლო მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ჩამოდის. კონცერტზე შესრულდება 1995 წლიდან დღემდე, ჯგუფის მიერ შექმნილი ჰიტები, სხვადასხვა სტუდიური ალბომიდან. The Chemical Brothers, ელექტრონული საცეკვაო ჟანრის მუსიკის პიონერად არის მიჩნეული. ჯგუფს 1995 წლიდან დღემდე 8 სტუდიური ალბომი აქვს გამოცემული.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 25 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5703; ევრო - 2.9620;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2987;
100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.4200;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5164;
1000 სომხური დრამი - 5.0829.

ამინდი 23 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +19, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +33
თბილისი: ღამე +19, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge